ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

# N8 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში

2020

# N8 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში

2020

**ავტორები:**
ნესტან ლონდარიძე
ეკა ქობესაშვილი
ნინო ცაგარეიშვილი
ალეკო ცქიტიშვილი

**რედაქტორი:** ცირა ჭანტურია



*ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა. მასში წარმოდგენილია 2020 წლის აგვისტოში N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები და რეკომენდაციები.*

*მონიტორინგის ვიზიტები განახორციელეს არასამთავრობო ორგანიზაციების - ადამიანის უფლებათა ცენტრის და „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ წარმომადგენლებმა, საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებთან ერთად.*

*მონიტორინგი განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ხელისუფლების ვალდებულებების მონიტორინგი და ხელშეწყობა პენიტენციურ და პრობაციის სფეროში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ და საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგი საქართველოში“ ფარგლებში.*

*ანგარიში მომზადდა და გამოიცა ღია საზოგადოების ფონდის და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის, ევროკავშირის ან სახალხო დამცველის პოზიციას. შესაბამისად, ისინი არ არიან პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.*

# სარჩევი


შესავალი 5
მეთოდოლოგია 6
ზოგადი საკითხები 6
კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით შემოღებული რეჟიმის გავლენა 8
1. პატიმრობის პირობები 11
1.1 ფიზიკური გარემო 11
- *საცხოვრებელი ფართი და გადატვირთულობა* 11
- *ვენტილაცია* 13
- *სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა* 13
- *ჰიგიენის საშუალებები* 14
- *სუფთა ჰაერზე ყოფნის/გასეირნების უფლება* 15
1.2 სარეაბილიტაციო აქტივობები და დღის განრიგი 16
2. უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირება 22
3. სამედიცინო მომსახურება 24
4. კვება 25
5. კონტაქტი გარესამყაროსთან 26
6. წესრიგი, უსაფრთხოება და რეჟიმი 27
- *ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განცალკევებით მოთავსების წესი* 27
- *საშიშროების რისკების შეფასება, დისციპლინური სახდელები და წახალისება* 28
- *სრული შემოწმება გაშიშვლების გზით* 30
7. მოპყრობა და ინსტიტუციური გარემო 32
8. განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრები 34
8.1 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები 34
- *მიღება და განთავსება* 34
- *დაწესებულებაში არსებული რეჟიმი და დისციპლინური სამართალწარმოება* 35
- *უსაფრთხო საკანში და დეესკალაციის ოთახში მოთავსება* 36
- *საყოფაცხოვრებო პირობები* 43
- *ჯანდაცვა* 45
- *კვება* 45
- *კონტაქტი გარესამყაროსთან* 47
8.2 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები 48

*- გათავისუფლების მექანიზმების ხარვეზები* 48
*- უვადო თავისუფლებაალკვეთილ პირთა გადაყვანა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში* 53
*- საყოფაცხოვრებო პირობები და კონტაქტი გარესამყაროსთან* 54
8.3 უცხო ქვეყნების მოქალაქე პატიმრები 55
*- გარესამყაროსთან კონტაქტი და სოციალიზაციის შესაძლებლობები* 55
*- განსხვავებული პირობები/დისკრიმინაციული მოპყრობის პრაქტიკა* 61
*- საკნებში განაწილება-განთავსება* 61
*- დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებთან კავშირი* 62
*- ექსტრადიცია და მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად სხვა ქვეყანაში გადაყვანა* 63
*- ტანსაცმლით უზრუნველყოფა* 63

# შესავალი

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია N8 პენიტენციურ დაწესებულებაში 2020 წლის 4-7 აგვისტოს ჩატარებული მონიტორინგის შედეგები და რეკომენდაციები.

მონიტორინგი განხორციელდა „პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის წესის“[1] მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე „წესით“ გათვალისწინებულ ღია კონკურსში მონაწილეობისა და საკონსულტაციო საბჭოს მიერ შერჩევის შედეგად.

მონიტორინგის ვიზიტები განახორციელეს არასამთავრობო ორგანიზაციების - ადამიანის უფლებათა ცენტრის და „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ წარმომადგენლებმა, სახალხო დამცველის მიერ მინიჭებული მანდატის ფარგლებში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებთან ერთად, მხარეებს შორის ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე. პანდემიასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, მონიტორინგის ჯგუფს მიეწოდა ინსტრუქციები პენიტენციურ დაწესებულებაში მონიტორინგის ჩატარების წესების შესახებ.

მონიტორინგის მიზანი იყო N8 დაწესებულებაში პატიმრობის პირობების და მოპყრობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა განსაკუთრებულ, მოწყვლად კატეგორიას მიკუთვნებულ პატიმართა სამ ჯგუფთან მიმართებაში: არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები და უცხო ქვეყნის მოქალაქე (ბრალდებული, მსჯავრდებული) პატიმრები. მონიტორინგი განხორციელდა ევროკავშირისა და საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში. ანგარიშის წინასწარი პროექტი გაზიარებულ იქნა სახალხო დამცველის აპარატთან. ანგარიში ასევე წინასწარ მიეწოდა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს.



მონიტორინგში მონაწილე ორგანიზაციები მადლიერებას გამოხატავენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართ, 2018 და 2020 წლებში მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობისათვის. ორივე წელს მონიტორინგი განხორციელდა სახალხო დამცველის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის წესების შესაბამისად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში. 2018 წელს ვიზიტები განხორციელდა N2, N3, N16 და N17 დაწესებულებებში, შემდეგ საკითხებზე: მსჯავრდებულთა რისკების შეფასება და კლასიფიკაცია, დისციპლინური პასუხისმგებლობა, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია და პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის სამუშაო პირობები.

[1] დამტკიცებულია საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 4 დეკემბრის N366-ე ბრძანებით; ცვლილებები და დამატებები განხორციელდა სახალხო დამცველის 2018 წლის 22 ოქტომბრის N383-ე ბრძანებით

## მეთოდოლოგია

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფი, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გაესაუბრა სამიზნე ჯგუფად განსაზღვრულ პატიმრებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პერსონალს, ასევე დაათვალიერა პატიმრობის პირობები და შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია. მონიტორინგის დროს სპეციალურად შედგენილი ინსტრუმენტის გამოყენებით გამოიკითხნენ N8 დაწესებულების ბრალდებული და მსჯავრდებული პატიმრები. ასევე შემოწმდა განყოფილებაში არსებული საპატიმრო პირობების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, დაკავებულთა არასათანადო მოპყრობისგან დაცვისა და პროცედურული გარანტიების უზრუნველყოფა. უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრები დაწესებულებაში გამოიკითხნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, დაწესებულების ადმინისტრაციისაგან მიღებული სიის საფუძველზე, ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებმა მონიტორინგის ჯგუფის წევრებს წინასწარ ჩაუტარეს შესაბამისი ტრენინგი პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის დროს ინდივიდუალური საშუალებების გამოყენების შესახებ. ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეიძინა ეს საშუალებები და დაურიგა მონიტორინგის ჯგუფის წევრებს. მონიტორები დაწესებულებაში დაიშვებოდნენ სრული დამცავი ეკიპირებით (COVID-19-ის სიტუაციის გათვალისწინებით) შესაბამისი შემოწმების პროცედურების გავლის შემდეგ.



## ზოგადი საკითხები

დაწესებულების მონიტორინგისას გამოვლინდა პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემური საკითხები, რომლებიც პატიმართა სამივე კატეგორიას აწუხებს და, ზოგადად, დაწესებულებისთვის არის დამახასიათებელი.

გარკვეული ხარვეზები შეინიშნება დაწესებულების საცხოვრებელ პირობებში, მაგალითად - საკნების ნაწილი ნესტიანია და ცუდად ნიავდება. პატიმრები მიუთითებენ სავენტილაციო სისტემის მწყობრიდან გამოსვლაზე, რომლის შეკეთება არ ხდება. დიდ პრობლემას წარმოადგენს დაწესებულების საკნებში სხვადასხვა პარაზიტი მწერის არსებობა (ტარაკნები, ბაღლინჯოები, ლოგინის ტკიპები). დეზინსექცია არ ატარებს რეგულარულ ხასიათს, ან ყველა საკანში არ ტარდება, ან თავად პატიმრები ამბობენ უარს მათ საკანში ამ პროცედურის ჩატარებაზე. ეს ნაწილობრივ იმითაა განპირობებული, რომ მათი გადაყვანა სხვაგან არ ხდება და სადეზინსექციო საშუალებების მავნე ზემოქმედებას არ უნდათ დაექვემდებარონ, ან სასეირნო ეზოში გასვლისას ხანგრძლივად უწევთ ფეხზე დგომა, რაც ყველას არ შეუძლია. ზოგიერთი პატიმარი თვითონ ყიდულობს დაწესებულების მაღაზიაში დეზინსექციის სხვადასხვა საშუალებებს, მაგრამ ისინი ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი.

ზოგადად, პატიმრების გადმოცემით, პირადი ჰიგიენის საშუალებები რეგულარულად და საკმარისი ოდენობით არ მიეწოდებათ და ისინი იძულებულნი არიან, დაწესებულების მაღაზიაში შეიძინონ ეს ნივთები. პანდემიის რისკების

გათვალისწინებით, არსებულ ვითარებაში განსაკუთრებით მიზანშეწონილია ჰიგიენის და სადეზინფექციო საშუალებებით პატიმრების უზრუნველყოფა.

დაწესებულების სასეირნო ეზოთი ძალიან ბევრი პატიმარი არ სარგებლობს და დროის ძირითად ნაწილს დახურულ საკანში ატარებს მხოლოდ იმის გამო, რომ სასეირნო საკნებში არ არის ვარჯიშის შესაძლებლობა, არ დგას სკამები, ბუნებასთან კონტაქტს მოკლებულნი არიან; ასევე მიზეზად სახელდება განრიგის მიხედვით გასეირნების შესაძლებლობა მხოლოდ დილის ადრიან საათებში. „პატიმრები ხშირად უარს აცხადებენ გასეირნებაზე, რადგან სასეირნოდ გასვლას დილით ადრე 7–8 საათზე სთავაზობენ, მაშინ, როცა ამ დროს გასეირნება დღის განრიგით გათვალისწინებული არ არის“. გარდა ამისა, „პრობლემებია სასეირნო ეზოების მოწყობასა და სპორტული ინვენტარის სიმცირესთან დაკავშირებით“[2].

პრობლემურია ბრალდებული და მსჯავრდებული პატიმრების ერთად განთავსების პრაქტიკა, რაც ეწინააღმდეგება, როგორც საერთაშორისო სტანდარტებს[3], ასევე ეროვნული კანონმდებლობის[4] მოთხოვნებს. სხვადასხვა სამართლებრივ რეჟიმს დაქვემდებარებულ პირთა ერთად განთავსება, სავარაუდოდ - დაწესებულების გადატვირთულობის გამო, ხშირად ქმნის მათ შორის კონფლიქტის ნიადაგს.

ფლიგელებში განთავსებულია სართულზე მხოლოდ ერთი ტელეფონის აპარატი, რაც არ იძლევა საშუალებას, რომ ყველა პატიმარმა ისარგებლოს სატელეფონო საუბრისთვის განკუთვნილი მაქსიმალური დროით. ასევე არ არის სატელეფონო ჯიხურები, რაც განმარტოებით საუბარს შეუძლებელს ხდის, რითაც ირღვევა სატელეფონო საუბრის კონფიდენციალობა.



დაწესებულებაში მიღებისას არსებობს პატიმრების სრული გაშიშვლებით შემოწმების პრაქტიკა - მიუხედავად იმისა, რომ დამონტაჟებულია სკანერი, რომელიც სრული შემოწმების ალტერნატივას უნდა წარმოადგენდეს.

დეესკალაციის ოთახების და უსაფრთხოების საკნების გამოყენება ხდება პატიმრების არაფორმალური დასჯის მიზნით.

დაწესებულებაში ფიქსირდება ცალკეული პატიმრების მიერ სხვა პატიმართა ჩაგვრისა და შევიწროების შემთხვევები, რაც დასტურდება პატიმრების ნაამბობით მათი კუთვნილი ნივთების (მაგალითად - სატელეფონო ან მაღაზიის ბარათების) მისაკუთრების, ან სხვა პირთა მიერ გამოყენების იძულების, თანხის გამოძალვის შესახებ და ა.შ.

[2] სახალხო დამცველის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 63
[3] ნელსონ მანდელას წესები, წესი 11.ბ; განახლებული ევროპული ციხის წესები, წესი 18.8.ა
[4] პატიმრობის კოდექსი, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი

# კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით შემოღებული რეჟიმის გავლენა

მონიტორინგის პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებაში მოქმედებდა ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით შემოღებული რეჟიმი, რაც ითვალისწინებდა სხვადასხვა შეზღუდვებს.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წლის მარტის ბოლოს პენიტენციურ სისტემაში ამოქმედდა განსაკუთრებული პირობები[5] და პენიტენციური დაწესებულებების 780 თანამშრომელი ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა[6], მათ შორის - გლდანის N8 დაწესებულებაც[7], რომელიც დახურული ტიპის დაწესებულებას წარმოადგენს. ყაზარმული რეჟიმი გულისხმობს იმას, რომ პატიმრებთან უშუალო კონტაქტში მყოფი, ცვლებში მომუშავე უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლები ვირუსის გარედან შემოტანის საფრთხისაგან დაცვისა და დაწესებულების შიგნით ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პენიტენციური დაწესებულებების შენობებში ცხოვრობენ[8]. ეს თანამშრომლები ყოველ ორ კვირაში ერთხელ პჯრ (PCR) ტესტირების გავლისა და უარყოფითი პასუხის შემდეგ დაწესებულებაში შედიან 20 დღით გარეთ გაუსვლელად (აქედან ყოველ მეორე დღეს მუშაობენ, დანარჩენი პერიოდი ისვენებენ, ვარჯიშობენ ტრენაჟორების დარბაზში და ა.შ.), 10 დღე ისვენებენ ოჯახში. თანამშრომლებს დაწესებულება ამარაგებს პერსონალური დაცვის სპეციალური საშუალებებით.



თანამშრომლები ადგილზე იკვებებიან დაწესებულების ხარჯზე[9]. ადმინისტრაციის ცნობით, ყაზარმულ რეჟიმზეა გადასული ასევე გლდანის N8 დაწესებულების კანცელარიის ერთი თანამშრომელი. სხვა პირები (სამედიცინო პერსონალის ჩათვლით) სრული ეკიპირებით შედიან დაწესებულებაში. შეიცვალა ცვლების რაოდენობაც. ადრე 3 ოფიცერი იყო ცვლაში თითო ფლიგელზე, ამჟამად კი, ცვლაში 2 ოფიცერი მუშაობს.

პატიმრებისაგან მიღებული ინფორმაციით, პანდემიამდე პერიოდში, ისინი უფრო მეტ ზრუნვასა და ყურადღებას გრძნობდნენ ოფიცრების მხრიდან, რომელთაც მეტი

---

[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაცია: http://www.sps.gov.ge/ka/media/akhali-ambebi/article/23450-akhali-koronavirusis-shesadzlo-gavrcelebis-prevenciis-miznith-penitenciur-datsesebulebebshi-ori-kviris-vadith-gansakuthrebuli-pirobebi-amoqmedda.html

[6] ინფორმაცია: https://1tv.ge/news/koronavirusis-prevenciis-miznit-penitenciuri-dawesebulebebis-780-tanamshromeli-momdevno-kviris-ganmavlobashi-sapatimroebis-shenobebshi-ickhovrebs/

[7] N8 დაწესებულების დებულების 28-ე მუხლი ითვალისწინებს დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღების შესაძლებლობას, განსაკუთრებული გარემოებების ვითარებაში, მათ შორის - „სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებათა ეპიდემიისას“.

[8] იქვე.

[9] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N393 (2019 წლის 8 აპრილი) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურეთა მატერიალურ-სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების განსაზღვრის შესახებ, მე-9 მუხლი, სასურსათო უზრუნველყოფის ნორმები ვრცელდება სამსახურის პენიტენციური დაწესებულების იმ მოსამსახურეზე, რომელიც სამსახურებრივ საქმიანობას ახორციელებს 24-საათიან სამორიგეო ცვლაში.

კონტაქტი ჰქონდათ მათთან, შესაბამისად მეტი საშუალება არსებობდა იმისათვის, რომ მათთვის მიემართათ დახმარების თხოვნით სხვადასხვა საჭიროებებთან დაკავშირებით. ხოლო პანდემიისას, დაწესებულების ყაზარმულ რეჟიმზე გადასვლისა და ოფიცრების რაოდენობის შემცირების შემდეგ, პატიმრებს, მათი თქმით, მსგავსი ყურადღება მოაკლდათ, რადგან თანამშრომლები საქმეს ვერ აუდიან. მოცემულ ანგარიშში, კონკრეტული თემატური საკითხების განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია COVID-19-ით განპირობებულ, დაწესებულების ყაზარმულ რეჟიმზე გადასვლისა და თანამშრომლების რაოდენობის შემცირების შედეგად გამოწვეულ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებზე.

კორონავირუსის გავრცელების პერიოდში, პენიტენციურ სისტემაში განსაკუთრებული პირობების ამოქმედების შემდეგ, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები კორპუსებში აღარ შედიოდნენ და უშუალო კონტაქტი არ ჰქონდათ პატიმრებთან, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესზე. აპრილიდან ივლისის ჩათვლით სოციალური მუშაკები არ შედიოდნენ დაწესებულებაში, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო. ისინი დისტანციურად მუშაობდნენ და მხოლოდ ტელეფონის საშუალებით ჰქონდათ კავშირი პატიმრებთან. პატიმრების ინფორმაციით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი სამუშაო დღეებში შედიოდნენ დაწესებულებაში და უშუალო კონტაქტში იყვნენ პატიმრებთან. დაწესებულების დირექტორის ცნობით, სოციალური მუშაკები სამუშაო საათებში დაწესებულების საზოგადოებრივ მისაღებში სხედან და იქიდან დისტანციურად ეკონტაქტებიან პატიმრებს. აგვისტოს დასაწყისიდან შაბათ-კვირას დაიწყეს დაწესებულებაში შესვლა და პატიმრებთან შეხვედრები.



არასრულწლოვანთა განყოფილებაში ფსიქოლოგმა მონიტორინგის დაწყების წინა დღეს განაახლა დაწესებულებაში ვიზიტი და პირისპირ ხვდებოდა არასრულწლოვან პატიმრებს სპეციალური ეკიპირებით. სოციალური მუშაკი განსაკუთრებული პირობების შემოღების შემდეგ დაწესებულების მისაღებიდან ვიდეოკონფერენციის საშუალებით ეკონტაქტებოდა არასრულწლოვნებს, გარკვეულ სასწავლო მასალას (ფანქრები, გასაფერადებელი მასალა) და პროგრამას აწვდიდა მათ.

მონიტორინგის მიმდინარეობისას საჩივრის ყუთებს[10] ლუქი არ ედო. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, რადგან სოციალური მუშაკები აღარ დადიან დაწესებულებაში COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების ფარგლებში, ყუთებს მათი ხელმოწერით ლუქები აღარ ადევს.

ამანათების გაგზავნა და მიღება მიმდინარე წლის მარტი-ივნისის პერიოდში, საგანგებო პირობების მოქმედებისას, აკრძალული იყო. ივლისიდან ისევ დაუშვეს.

[10] პატიმრობის კოდექსი, მე-100 მუხლი - საჩივრების ყუთი უნდა განთავსდეს დაწესებულების ტერიტორიაზე ყველა ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომ ადგილას. დაწესებულების ტერიტორიაზე შეიძლება განთავსდეს საჩივრების რამდენიმე ყუთი. საჩივრების ყუთს უნდა გაუკეთდეს აბრა წარწერით „საჩივრების ყუთი“. საჩივრების ყუთი დალუქული უნდა იყოს. პენიტენციური დაწესებულების სოციალური მუშაკი საჩივრების ყუთს ხსნის, კეტავს და ლუქავს ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ამ დაწესებულების დირექტორის ან დირექტორის მოადგილის თანდასწრებით.

როგორც პატიმრებს განუმარტეს, ამანათები იხსნება და გარედან შემოგზავნილი ტანსაცმელი მუშავდება სადეზინფექციო ხსნარით.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს 21 მარტიდან 23 მაისამდე პრეზიდენტის დეკრეტით პენიტენციურ დაწესებულებებში (მათ შორის N8 დაწესებულებაში) შეჩერებული იყო პაემნის უფლების მოქმედება და შესაბამისად არ ტარდებოდა ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნები[11]. ივლისიდან კვლავ დაუშვეს ხანმოკლე პაემნები, რა დროსაც პატიმრის შეხვედრა მნახველთან მინის ბარიერის საშუალებით მიმდინარეობს[12], რომელსაც არ ესწრება თანამშრომელი და კონფიდენციალურია.

პანდემიის პირობებში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან 2020 წლის 15 ივლისამდე[13] სასამართლო პროცესები დისტანციურად იმართებოდა. მონიტორინგის დროს პატიმართა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ონლაინ სისტემის ტექნიკური გაუმართაობა და ინტერნეტ კავშირის ხარვეზები, რაც იწვევს სმენადობისა და ხილვადობის პრობლემებს. ასევე, აღნიშნული წესით სასამართლო სხდომის ჩატარება პრობლემებს ქმნიდა ბრალდებულის ადვოკატთან კონფიდენციალური გასაუბრების თვალსაზრისით, მოწმეების იდენტიფიკაციისა და მათი აღქმა-გაგების, თარგმანის ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით და სხდომების დაგვიანების ან გადადების მიზეზიც ხდებოდა[14].

## რეკომენდაციები სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს და დაწესებულების ადმინისტრაციას

- პანდემიის პერიოდში, სოციალურმა მუშაკებმა განაგრძონ დაწესებულებაში გონივრული ინტერვალებით, სპეციალური დამცავი აღჭურვილობით შესვლა და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი მომსახურების გაწევა პატიმრებისათვის;
- აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზები პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედ ონლაინ სისტემაში, რომლის მეშვეობითაც იმართება სასამართლო პროცესები დისტანციურად;
- პანდემიის გაურკვეველი პერიოდის გათვალისწინებით, გატარდეს ღონისძიებები გარკვეული სერვისების დისტანციურ რეჟიმში მიწოდების უზრუნველსაყოფად.



[11] პრეზიდენტის დეკრეტი N1 (21 მარტი, 2020 წ.) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.
[12] ხანმოკლე პაემნის მინის ბარიერის მიღმა ჩატარების წესს ითვალისწინებს N8 დაწესებულების დებულება, მუხლი 43.5. (დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ, N117 ბრძანებით, 2015 წლის 27 აგვისტოს). უშუალო შეხვედრის ფორმით ხანმოკლე პაემანი დაიშვება გამონაკლისის სახით, დაწესებულების დირექტორის წერილობითი თანხმობით, ამისათვის გამოყოფილ სპეციალურ ოთახებში, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.
[13] თავიდან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სასამართლო სხდომების ჩატარება დაშვებული იყო პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე (მუხლი 7), ხოლო 2020 წლის 22 მაისიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე (დაემატა $332^5$ მუხლი).
[14] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში, 2020 წ.

# 1. პატიმრობის პირობები

## 1.1 ფიზიკური გარემო

### ➢ *საცხოვრებელი ფართი და გადატვირთულობა*

N8 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი დადგენილია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით[15] და განისაზღვრა 3170 ბრალდებულით და მსჯავრდებულით, უშუალოდ გლდანში არსებულ დაწესებულებაში; ხოლო - 698 ბრალდებულით და მსჯავრდებულით დაბა ქსანში არსებულ კორპუსში. 2020 წლის აგვისტოს მონაცემებით[16], დაწესებულებაში განთავსებული იყო 2683 პატიმარი (1449 ბრალდებული და 1234 მსჯავრდებული). ლიმიტის შევსების მაჩვენებელი იყო 85 პროცენტი.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ინფორმაციით[17], პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი 4 კვ. მ. მინიმალური პირადი ფართით მსჯავრდებულების უზრუნველყოფის საკითხი პრობლემურია N8 დაწესებულებაში. N8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გარკვეული ნაწილი ცხოვრობს ორადგილიან საკნებში, სადაც არის სივიწროვე. N8 დაწესებულებაში 6 და მეტ ადგილიან საცხოვრებელ საკნებში 1 პატიმარზე საცხოვრებელი ფართი 2,5–დან 3 კვ. მ–მდე მოდის. პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის 2–ე და 3–ე პუნქტების თანახმად, 1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა არის 4 კვ.მ, ხოლო 1 ბრალდებულზე 3 კვ.მ. N8 დაწესებულებაში ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების ერთად განთავსების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი დიფერენცირებული პირადი ფართის უზრუნველყოფის პრობლემა იქმნება.

N8 დაწესებულებაში უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის განკუთვნილ კორპუსში საკნების ნაწილი გარემონტებულია, ნაწილი - არა. ერთ-ერთმა პატიმარმა განაცხადა, რომ რემონტი მიმდინარეობს და მისი საკნის გადაღებვაც დაგეგმილია. საკნებს შორის აღნიშნული განსხვავება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა ნაწილმა, ადმინისტრაციის ნებართვით, თავისი ხარჯებით გაარემონტა საკნები. აღნიშნული იწვევს არაერთგვაროვან საყოფაცხოვრებო პირობებს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის და მათ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა კორპუსის ინფრასტრუქტურაში დიდი პრობლემაა სახურავის და აბაზანების იატაკის დეფექტი, რის გამოც სახურავიდან და საშხაპეებიდან პატიმრების საკნებში პერიოდულად წყალი ჩადის. საკნებში შესამჩნევია წყლით დაზიანებული და დანესტილი ჭერი და კედლები. მე-3 კორპუსის



[15] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანება, ცვლილება განხორციელდა იუსტიციის მინისტრის N505 ბრძანებით (2020 წლის 19 მარტი)
[16] საქსტატი, სამართალდარღვევების სტატისტიკა, 2020 წლის აგვისტოს მონაცემები, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის შედარება დაწესებულებებში განთავსების დადგენილ ლიმიტებთან, გვ. 110
[17] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 31

პირველ სართულზე ჩრდილოეთის მხარეს განლაგებულ საკნებს მზე არ ადგება და ნესტიანია.

მონიტორინგის ჯგუფმა დაათვალიერა დეესკალაციის ოთახები, სამარტოო და უსაფრთხო საკნები. დეესკალაციის ოთახის ტუალეტის ნიჟარა მოქცეულია ვიდეოკამერების ხედვის არეალში, რაც დაუშვებელია. იატაკზე „რბილი“ ფილებია დაგებული. ოთახს ფანჯარა არა აქვს. პატიმარი იატაკზე უნდა დაწვეს, რისთვისაც კედელზე მიყუდებული იყო თხელი მატრასის მსგავსი საგანი, ხმარებისგან დაზიანებული. უსაფრთხო საკანშიც იგივენაირი მდგომარეობაა. ის განსხვავებაა, რომ ამოშენებულია საწოლი და ზედ ლეიბია დაგებული. უნიტაზი და ხელსაბანი იქვეა.

ერთ-ერთ უსაფრთხო საკანში მონიტორინგის ჯგუფმა ნახა ჯანმრთელობისთვის საზიანო პირობებში მყოფი პატიმარი. იგი იმყოფებოდა წყლიან ოთახში და აცხადებდა, რომ წყალი ჯერ კიდევ წინა საღამოს ჩამოვიდა და მთელი ღამე და შუადღემდე იმყოფებოდა სისველეში, მოითხოვდა გადაყვანას, რაზეც არ რეაგირებდა დაწესებულების ადმინისტრაცია. პატიმარი საკანში ორი კვირის წინ იყო შეყვანილი.

ე.წ. სამარტოო საკნებში რამდენიმე ადგილას არის ნესტი და სისველე. ჩამოდის წყალი ან ადრეა ჩამონადენი და ბათქაში ცვივა ჭერიდან და კედლებიდან. სამარტოო საკანში არის რკინის მაგიდა და მასზე მიერთებული რკინის საწოლი. საკანში არის ხელსაბანი და ე.წ. აზიური ფეხსალაგი, ჩამრეცხით. ერთ-ერთ სამარტოო საკანში მაგიდაზე ეყარა ჭერიდან ჩამოცვენილი ბათქაში. პატიმარმა განაცხადა, რომ დისციპლინური დასჯის სახით 14 დღით აქვს განსაზღვრული სამარტოო საკანში ყოფნა. მისთვის სამარტოო საკანში ყოფნა დამამცირებელი მოპყრობის ტოლფასია, რადგან ტუალეტი არ არის კედლებით იზოლირებული და საკვების მიღება არაჰიგიენურ გარემოში უწევს.



თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ სამარტოო და უსაფრთხო საკნებში და დეესკალაციის ოთახებში მოჭარბებული ნესტი და ზემოდან ჩამოსული წყალი გამოწვეულია მაღლა სართულებზე მყოფი პატიმრების გაუფრთხილებლობით - სიცხეში ტუალეტში ბანაობენ და ვინაიდან ტუალეტის იატაკზე არ არის დაგებული ფილები (მეტლახი), წყალი ჩადის დაბლა სართულზე. ასევე ზოგჯერ საკანალიზაციო მილებში აგდებენ პირსახოცს ან სხვა საგნებს (ზოგჯერ - გამიზნულად) და აზიანებენ წყალგაყვანილობის სისტემას. სამარტოო საკნების გვერდით ბევრგან ჩამოდის წყალგაყვანილობის მილები, საიდანაც ავარიულად იღვრება წყალი და აზიანებს საკნების კედლებს. ამ პრობლემის შესახებ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი 2019 წლის სპეციალურ ანგარიშშიც მიუთითებდა[18].

დირექტორმა დაადასტურა წყალგაყვანილობის სისტემის პრობლემები და განაცხადა, რომ დაზიანებული მილების გამოცვლა დაწყებული ჰქონდა კომპანიას, რომელმაც მილების 70% გამოცვალა, მაგრამ პანდემიის გამო დარჩენილი ნაწილის გამოცვლა ვეღარ მოახერხა.

[18] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში, N2, N8, N14 და N15 დაწესებულებების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019 წ, გვ. 32

**რეკომენდაციები სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს და დაწესებულების ადმინისტრაციას**

- დასრულდეს წყალგაყვანილობის სისტემის რემონტი და აღმოიფხვრას საკნებში ნესტის წარმოშობის მიზეზები;
- ამის შემდეგ გარემონტდეს დაზიანებული სამარტოო და უსაფრთხოების საკნები და დეესკალაციის ოთახები;
- სამარტოო და უსაფრთხოების საკნებში და დეესკალაციის ოთახებში არსებული პირობები შესაბამისობაში მოვიდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან.

### ➢ *ვენტილაცია*

N8 დაწესებულების საკნებში ისეთი კონსტრუქციის ფანჯრებია, რომ ბოლომდე ვერ ხერხდება გაღება - მხოლოდ ნახევრად იღება, რის გამოც საკნები კარგად ვერ ნიავდება. გარკვეულ საკნებში სველ წერტილებში დატოვებულია მხოლოდ ღრუ - ვენტილაციის გაყვანილობის გარეშე. ზოგიერთი პატიმარი მიუთითებდა ტუალეტის ვენტილატორის გაუმართაობაზე, რომლის შეკეთებაც არ ხდება.

N8 დაწესებულების სხვადასხვა ტიპის საკნებში ვენტილაციის პრობლემებზე საუბარია სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშში[19]. აღნიშნულია, რომ „N8 დაწესებულების საცხოვრებელ და ე.წ. უსაფრთხო საკნებში ხელოვნური ვენტილაცია არ არის საკმარისი. N8 დაწესებულების სამარტოო საკნებსა და შიდა კლასიფიკაციის საკნებში ხელოვნური ვენტილაცია არ არის. დეესკალაციის ოთახებში არ იღება ფანჯრები. შესაბამისად, ბუნებრივი ვენტილაცია პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი არ არის“. ასევე დასახელებულია ბუნებრივი განათების პრობლემა შიდა კლასიფიკაციის საკნებში, დაწესებულების ე.წ. უსაფრთხო საკნებში და სამარტოო საკნებში.



**რეკომენდაციები დაწესებულების ადმინისტრაციას:**

- მოწესრიგდეს ხელოვნური ვენტილაციის სისტემა საკნებში;
- შიდა კლასიფიკაციის საკნებში უზრუნველყოფილი იყოს ადეკვატური განათება.

### ➢ *სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა*

დაწესებულებაში მყოფ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების სანიტარულ-ჰიგიენური უზრუნველყოფა[20] ბრალდებულის და მსჯავრდებულის ყოფნისთვის

[19] იქვე
[20] აღნიშნული მოთხოვნები დადგენილია საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №388 – №01-18/ნ (2019 წლის 6 მარტი).

განკუთვნილი სივრცის არქიტექტურულ-ინფრასტრუქტურული გადაწყვეტა და აღჭურვა უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, პირადი ჰიგიენის დაცვას, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას ადამიანის პატივისა და ღირსების შეულახავად, რაც სხვა ღონისძიებებთან ერთად გულისხმობს: პირადი ჰიგიენის წესების შესრულებისათვის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ცენტრალიზებულ ქსელთან მიერთებული, შესაბამისად აღჭურვილი სანიტარულ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით და ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, კბილის პასტა, ნეჭი, პირსახოცი) უზრუნველყოფას; ბ) საწოლითა და ლოგინით (ლეიბი, ბალიში, საბანი) უზრუნველყოფას; გ) სუფთა თეთრეულით კვირაში ერთხელ (არანაკლებ) უზრუნველყოფას, აგრეთვე, სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლის მიწოდებასა და ცვლას დაბინძურების მიხედვით; ნარჩენების შეგროვებისა და დროული გატანის უზრუნველყოფას; ზ) სივრცის ყოველდღიური დასუფთავების, ავეჯისა და ფანჯრების ყოველკვირეული წმენდის, ოთახებისა და კვების ბლოკების პერიოდული სავალდებულო სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ორგანიზებას.

მონიტორინგის მიმდინარეობისას რამდენიმე საკანში, სადაც სხვა საკნებთან შედარებით უსუფთაობა იყო, მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა შენიშნეს ტარაკნები. პატიმრები მიუთითებდნენ ასევე ბაღლინჯოების არსებობაზე საკნებში. პატიმრებისგან მიღებული ინფორმაციით, მავნებელი მწერების საწინააღმდეგოდ ადმინისტრაცია პერიოდულად საკნების დეზინსექციას ატარებს, მაგრამ პატიმრები ცდილობენ, თავიანთი საკანი არ შეაწამლინონ, რადგან აქვთ შიში, რომ გამოყენებული პრეპარატის ქიმიური ნარჩენები თვითონაც უნდა ისუნთქონ და შესაძლოა, ამ გზით მოიწამლონ. საკნების დეზინსექციისას ადმინისტრაცია ითვალისწინებს პატიმრების აზრს და თუკი პატიმარს არ სურს, რომ მისი საკანი დამუშავდეს, იქ დეზინსექცია არ ტარდება. მიღებული ინფორმაციით, პატიმრები საკნების დეზინსექციაზე უარს ასევე იმ მოტივით ამბობენ, რომ ამ დროს 3-4 საათით უნდა გავიდნენ საკნიდან და სასეირნო საკანში ხანგრძლივად უნდა იდგნენ ფეხზე, რადგან სასეირნო სივრცეში სკამები არ არის.



### ➢ *ჰიგიენის საშუალებები*

დაწესებულებაში შესახლებისას პატიმრები უზრუნველყოფილნი არიან პირადი ჰიგიენის მინიმალური საშუალებებით, როგორიცაა: თეთრეული, პირსახოცი, სარეცხი საპონი, სარეცხი ფხვნილი, კბილის პასტა, კბილის ჯაგრისი და ტუალეტის ქაღალდი. შემდგომ, მოთხოვნის შემთხვევაში, პატიმრებს გადაეცემათ მხოლოდ ტუალეტის ქაღალდი, სარეცხი საპონი და ფხვნილი. ჰიგიენის სხვა საშუალებები თავად უნდა შეიძინონ. მაგალითად, საპონი მოთხოვნიდან 3-4 დღეში მიეწოდებათ. არის შემთხვევები, როდესაც საპონი გასაყიდად არ მოიპოვება არც დაწესებულების მაღაზიაში. რიგ შემთხვევებში, უგვიანდებათ ტუალეტის ქაღალდის მიღება. პატიმრების გადმოცემით, მათ თვიდან თვემდე თავი გააქვთ ერთმანეთის

დახმარებით. ვის როცა აქვს საშუალება, ყიდულობს დაწესებულების მაღაზიაში ჰიგიენის საშუალებებს საკუთარი თუ საერთო სარგებლობისთვის.

COVID-19-ის რისკის გათვალისწინებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, საჭიროა, პატიმრებს დღე-ღამის განმავლობაში მიეცეთ ხელის ჰიგიენის დაცვის საშუალებები (საპონი, ინდივიდუალური პირსახოცები), ასევე უფრო ხშირად განხორციელდეს დეზინფექციის პროცედურები[21].

სამარტოო საკნების გვერდით მოწყობილია საშხაპე, სადაც საკნებში მყოფ პირებს კვირაში ორჯერ შეუძლიათ, მიიღონ შხაპი კანონმდებლობისა და დაწესებულების დებულების მიხედვით. შხაპის მიღების საშუალება დაწესებულებაში განთავსებულ სხვა პატიმრებსაც კვირაში ორჯერ აქვთ, დაწესებულების დებულების თანახმად[22]. პატიმრებმა აღნიშნეს, რომ საშხაპე სისტემები ადრე პრობლემური იყო და ზამთარში ცივი წყალი მოდიოდა. თუმცა, საშხაპეები განაახლეს და ახლა წყალი უკეთ თბება. აღნიშნული ჰიგიენური პროცედურისთვის თითო პატიმარზე გამოყოფილია 15 წუთამდე დრო.

**რეკომენდაცია სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს და დაწესებულების ადმინისტრაციას:**

- პანდემიის და Covid19-ის რისკის გათვალისწინებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პატიმრების ჰიგიენური საშუალებებით მომარაგებას, საკნების დეზინფექციას და დეზინსექციას.



### ➢ *სუფთა ჰაერზე ყოფნის/გასეირნების უფლება*

„ევროპული ციხის წესების“ თანახმად, ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას[23]. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდებულს და მსჯავრდებულს აქვს უფლება, ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა, იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით)[24] დაწესებულებაში საამისოდ გამოყოფილ სივრცეში.

N8 დაწესებულებაში სასეირნო სივრცეები მოწყობილია შენობის სახურავზე, დერეფნის ორ საპირისპირო მხარეს. პატიმარი მარტო არ რჩება - თანამშრომელი ახლავს და მეთვალყურეობს მას. სასეირნო ეზო წარმოადგენს ოთხ კედელს შუა არსებულ სივრცეს, რომელიც ლითონის ბადითაა დახურული და ჩვეულებრივი საკნებისგან იმით განსხვავდება, რომ შედარებით დიდი ფართია და ბეტონის სახურავი არა აქვს.

---

[21] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ევროპის რეგიონული ოფისი, Covid-19-თვის მზაობა, პრევენცია და კონტროლი ციხეებში და თავისუფლების შეზღუდვის სხვა დაწესებულებებში, შუალედური სახელმძღვანელო, 2020 წლის 15 მარტი, გვ. 13

[22] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N117 (2015 წლის 27 აგვისტო), N8 დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ

[23] ევროპული ციხის წესები, წესი 27.1

[24] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მე-14 მუხლი, 1 ნაწილი, (ზ) პუნქტი; 25-ე მუხლი,

გამოკითხული პატიმრები სრულად ვერ სარგებლობდნენ გასეირნების უფლებით და ვარჯიშის შესაძლებლობით. გასეირნება მათთვის მხოლოდ ადრე დილის საათებში არის შესაძლებელი - ერთ საათამდე დროის ხანგრძლივობით, მაშინ როცა პატიმრებს სძინავთ. პატიმრები სასეირნოდ დილის 6 საათიდან სხვადასხვა დროს გადიან, ისე, რომ სეირნობა საუზმის და სადილის დროს არ დაემთხვეს - სართულების მიხედვით, დილის 6 - 7– 10 საათზე. პატიმრების უმრავლესობას სეირნობის სურვილი არა აქვს. ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ დილის 6:00-7:00 საათი სეირნობისათვის ძალიან ადრეა, ასევე სასეირნო სივრცე არ არის მოწყობილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სასეირნო სივრცეში არ არის ვარჯიშის შესაძლებლობა, არც სკამი დგას, რის გამოც ჩამოჯდომის საშუალება არ არსებობს. ეს განსაკუთრებით პრობლემურია შშმ, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და ასაკოვანი პატიმრებისთვის.

რესპონდენტი პატიმრების გადმოცემით მათთვის არ არის საინტერესო იქ დროის გატარება, რადგან სასეირნო სივრციდან ზეცის გარდა არაფერი ჩანს, არც ბუნებასთან კონტაქტის საშუალებაა. ერთ-ერთმა პატიმარმა ხატოვნად შეადარა აღნიშნული სივრცე ნადირის გალიას, სადაც, მისი თქმით, მას არა აქვს მოხვედრის სურვილი. დაწესებულების ხელმძღვანელის გადმოცემით, სასეირნო ეზოს ამგვარი მოწყობა უკავშირდება გლდანის ციხის დაპროექტების ხარვეზებს. მან აღნიშნა, რომ ადმინისტრაცია გაითვალისწინებს პატიმართა საჭიროებებს და დაამონტაჟებს ეზოს სკამებს.



### რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს

- უზრუნველყოფილი იყოს სასეირნო სივრცეების მოწყობა N8 დაწესებულების ეზოში.

### რეკომენდაციები დაწესებულების ადმინისტრაციას

- დამონტაჟდეს მოსასვენებელი სკამები სასეირნო სივრცეებში; ასევე, შეძლებისდაგვარად, სივრცეები უზრუნველყონ სავარჯიშო აღჭურვილობით; დაწესებულებაში დღის განრიგი ისე განაწილდეს, რომ სასეირნოდ გასვლა პატიმართა ყველა კატეგორიას დღის საათებში მოუწიოს.

## 1.2 სარეაბილიტაციო აქტივობები და დღის განრიგი

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება[25]. კანონით გათვალისწინებული რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებები მოიცავს სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას, მსჯავრდებულთა დასაქმებას, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებას, პროფესიულ მომზადებას

[25] პატიმრობის კოდექსი, 116-ე მუხლის პირველი ნაწ.

და გადამზადებას[26]. საქართველოს კანონმდებლობით, მხოლოდ მსჯავრდებულებს აქვთ სარეაბილიტაციო პროგრამებით სარგებლობის უფლება[27]. მსჯავრდებულის რესოციალიზაციას პენიტენციური სამსახური და პენიტენციური დაწესებულებები უზრუნველყოფენ სოციალური მუშაკებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა პირების მეშვეობით. პატიმრობის კოდექსის მიხედვით, მსჯავრდებულთან უნდა ტარდებოდეს სარეაბილიტაციო მუშაობა, რომლის მიზანია: მსჯავრდებულში კანონის, სხვა ადამიანების, შრომის, ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისა და ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება; თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა შორის ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა; მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება; მსჯავრდებულთა მომზადება გათავისუფლებისათვის; სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა გათვალისწინებული უნდა იყოს მსჯავრდებულის გამოსწორების ხარისხის შეფასებისას და მის მიმართ წახალისების ფორმის გამოყენებისას. მსჯავრდებულთან სარეაბილიტაციო მუშაობა ტარდება მისი პიროვნული თვისებებისა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით.

კანონმდებლობის მიხედვით, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით. ამასთანავე, უნდა ხდებოდეს მსჯავრდებულის კრიმინოგენული და სხვა საჭიროებების გათვალისწინება, რათა შესრულდეს სასჯელის მიზნები, მათ შორის, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენცია. აღსანიშნავია, რომ პატიმრობის კოდექსი არ იცნობს ტერმინს „საჭიროებები“ და ითვალისწინებს მხოლოდ პატიმრების საშიშროების რისკების შეფასებას. თუმცა, კანონქვემდებარე აქტით[28] დაზუსტებულია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადებასთან, განხორციელებასა და მონიტორინგთან (შემთხვევის მართვასთან) დაკავშირებული პროცედურები და დამტკიცებულია სამუშაო პროცესში გამოსაყენებელი ფორმები.

2020 წლის წლის აგვისტოს მონაცემებით, N8 დაწესებულებაში განთავსებული 1234 მსჯავრდებულიდან მხოლოდ 181 იყო ჩართული (14,6 %) სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში: 164 დასაქმებული (130 - სამეურნეო სამსახურში, 34 - საწარმოო საქმიანობაში), ხოლო 17 - სასწავლო პროცესში ჩართული[29].



[26] პატიმრობის კოდექსი, 116-ე მუხლის მე-2 ნაწ .
[27] პატიმრობის კოდექსი, მე-14 მუხლი, მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტი
[28] იუსტიციის მინისტრის N502 ბრძანება (2020 წლის 12 მარტი) სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ
[29] შედარებისთვის, 2020 წლის იანვარში 121 მსჯავრდებული იყო დასაქმებული (აქედან 98 სამეურნეო სამსახურში ირიცხებოდა, 23 - საწარმოო საქმიანობაში), ხოლო არასრულწლოვანი პატიმრებიდან 30 იყო ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში (აქედან 15 საჯარო სკოლაში სწავლობდა); თებერვალში - 136 ზრდასრული მსჯავრდებული და 23 არასრულწლოვანი პატიმარი; მარტში - 149 ზრდასრული მსჯავრდებული და 25 არასრულწლოვანი;

მონიტორინგის პერიოდში დაწესებულებაში წარმატებით მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო პროგრამა. დაწესებულების ეზოში 0.9 ჰექტარი მიწა გაიწმინდა სამშენებლო ნარჩენებისგან და გაშენდა ბაღ-ბოსტანი, სადაც მსჯავრდებულებს მოჰყავთ ხილის და ბოსტნეულის კულტურები (საზამთრო, ნესვი, გოგრა, ჟოლო, ხახვი, ნიორი, მწვანილეული), ასევე - უცხოეთიდან შემოტანილი იშვიათი და ბაზარზე მოთხოვნადი სახეობები (მაგალითად - ბამია). ხილის თუ ბოსტნეულის სახეობებს, ბაზარზე არსებული მოთხოვნის მიხედვით, აგრონომები არჩევენ. ბაღ-ბოსტნის მოვლა-პატრონობაში ჩართული არის 8 პატიმარი, საიდანაც 7 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირია. მათი შრომა ანაზღაურებადია, პროდუქციის გაყიდვის შესაბამისად და თვეში, საშუალოდ, 300-400 ლარს შეადგენს. პროგრამაში ჩართული პატიმრები  სუფთა ჰაერზე, მიწასთან და მცენარეებთან დიდ დროს ატარებენ, შესაბამისად  - მეტად აქვთ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის შესაძლებლობა (ვიდრე აღნიშნული დახურული დაწესებულების საკნებში ხანგრძლივად განთავსებულ მსჯავრდებულებს) და ფინანსური შემოსავალიც აქვთ. ბაღ-ბოსტნიდან პროდუქციას ჰიპერმარკეტი „გუდვილი“ იბარებს გასაყიდად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულების სურვილის მიუხედავად, შეზღუდულია პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა, მათი შერჩევის კრიტერიუმები და პროცესი არ არის გამჭვირვალე, ზოგიერთი მსჯავრდებული კი არ არის ინფორმირებული პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობის შესახებ.

უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი  კორპუსის ერთ-ერთ სართულზე გამოყოფილია სასწავლო ოთახი, სადაც პანდემიასთან დაკავშირებით საგანგებო პირობების გამოცხადებამდე ტარდებოდა სხვადასხვა შეხვედრები. სასულიერო პირი  უკითხავდა პატიმრებს თეოლოგიურ ლექციებს. იმართებოდა შეხვედრები მწერლებთან, პროფესორებთან. ეთნიკურად აზერბაიჯანელი პატიმრები ეცნობოდნენ ქართულ ლიტერატურას. უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში, პანდემიასთან დაკავშირებით, აღნიშნული აქტივობები არ ჩატარებულა.



თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, N8 დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ძალიან შეზღუდულია მსჯავრდებულების ჩართულობა, ასევე - შეთავაზებული პროგრამების მრავალფეროვნება. დაწესებულებას არ გააჩნია წინასწარ გაწერილი, მსჯავრდებულთა კონკრეტულ და რეალურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო ღონისძიებების გეგმა.

პანდემიის პერიოდში არსებულ ვითარებას ართულებს ის ფაქტი, რომ შეიზღუდა დაწესებულებაში სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგის შესვლა და შესაბამისად მათი სერვისებით სარგებლობაც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, ფსიქოლოგის მომსახურებას და მის დამოკიდებულებას საკმაოდ უარყოფითად ახასიათებდნენ პატიმრები.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენაში მსჯავრდებულები არანაირ მონაწილეობას არ იღებენ, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს[30]. მსჯავრდებულების ჩართულობას ითვალისწინებს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტიც[31]: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის სამუშაო ვერსიას მსჯავრდებულს უნდა აცნობდეს მულტიდისციპლინური გუნდი შეხვედრის ფარგლებში.

N8 დაწესებულებაში, როგორც ზოგადი კონტიგენტისთვის, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისათვის ძალიან მწირია სარეაბილიტაციო-რესოციალიზაციის აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობები. დაწესებულების ადმინისტრაციისაგან მოწოდებული ინფორმაციით, უცხოელ პატიმრებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ერთ-ერთ სარეაბილიტაციო აქტივობაში მიეღოთ მონაწილეობა პანდემიამდე (დიგიტალიზაციის პროგრამა). თუმცა, მონიტორინგის პერიოდში გამოკითხული უცხოელი პატიმრებისათვის უცნობი იყო დაწესებულებაში სარეაბილიტაციო-რესოციალიზაციის აქტივობების შესაძლებლობების არსებობის შესახებ. არცერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა მსგავსი ტიპის აქტივობაში პანდემიამდე თუ პანდემიის პერიოდში. დაწესებულებაში არ ტარდება საგანმანათლებლო, სპორტული თუ გასართობი აქტივობები. დაწესებულებაში შეჩერებულია სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმებზე მუშაობაც. ევროპული სტანდარტების მიხედვით[32], ღონისძიებების დაბალანსებული პროგრამის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს კონკრეტული ზომები უცხოელი პატიმრების წინაშე მდგარი სირთულეების დასაძლევად. უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულებს ასევე უნდა შეეძლოთ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.



მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკვეთა უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რეალურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო ღონისძიებების არარსებობის პრობლემაც. მათთვის შეთავაზებული და ჩატარებული პროგრამები ძნელია შეფასდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ, რეგულარულ, მიზანმიმართულ და მრავალფეროვან აქტივობებად. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და გრძელვადიანი პატიმრებისათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას[33]. იუსტიციის მინისტრის N502 ბრძანება პატიმართა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზნობრივ ჯგუფად მიიჩნევს უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს  რომელთანაც საწყისი

[30] მინისტრთა კომიტეტის განახლებული რეკომენდაცია REC(2006)2-Rev, 2, წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს, განახლდა 2020 წლის 1 ივლისს), წესი 103.3 და 104.2

[31] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №502 (2020 წლის 12 მარტი) სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ

[32] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM / Rec (2012) 12 წევრი სახელმწიფოებისადმი უცხოელ პატიმრებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2012 წლის 10 ოქტომბერს, წესი 26.1, ასევე 27.1 და 27.2.

[33] მინისტრთა კომიტეტის განახლებული რეკომენდაცია REC(2006)2-Rev, 2, წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს, განახლდა 2020 წლის 1 ივლისს).

ეტაპიდანვე უნდა დაინერგოს შემთხვევის მართვის მოდელი (საჭიროებებისა და რისკების შეფასება და ინდივიდუალური გეგმის მომზადება-განხორციელება). თუმცა, როგორც მონიტორინგის პროცესში გახდა ცნობილი, პრაქტიკაში ეს ჯერჯერობით არ ამოქმედებულა.

მნიშვნელოვანია, არსებობდეს თითოეული პატიმრისათვის მასზე მორგებული ინდივიდუალური პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შედეგზე ორიენტირებული ჩარევის რეალისტური გზები. ეს პროგრამა მოითხოვს რეგულარულ გადასინჯვას, მაგრამ მიზანი ყოველთვის უნდა იყოს პატიმრის ჩართვა საკუთარი განვითარების პროცესში და მისი ეტაპობრივი შეფასება; ასევე - უკუკავშირს მის ქცევაზე. შედეგად, ამგვარი პროგრამა უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, რომ ენერგია მიმართონ თავიანთი მდგომარეობის თითოეული ასპექტისკენ, სანამ სასჯელის პირველი გადასინჯვის პერიოდი დადგება. ეს უნდა მოიცავდეს სასჯელის მოხდას ნაკლებად მკაცრ და შემზღუდავ პირობებში. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ რისკებისა და საჭიროებათა მართვის გეგმამ განაგრძოს მუშაობა დაცული გარემოს მიღმაც. წარმატებული რეინტეგრაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ზრუნვის გაგრძელებას საზოგადოებაში ცხოვრების დროსაც. შესაბამისი გეგმა უნდა დაისახოს გათავისუფლების თარიღამდე ბევრად ადრე[34].

უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდა უნდა მიმდინარეობდეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიხედვით, რომელიც მორგებული უნდა იყოს მსჯავრდებულის საჭიროებებსა და რისკებზე. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები უნდა ექვემდებარებოდნენ მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია მათი უსაფრთხო და წესრიგის დაცვასთან შესაბამისი თავისუფლების აღკვეთისთვის. ნათლად უნდა გაიმიჯნოს რისკები, - რომელსაც უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები უქმნიან ციხის გარეთ არსებულ საზოგადოებას, - იმ რისკებისგან, რასაც ისინი უქმნიან სხვა პატიმრებს და ციხეში მომუშავე პირებს. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები არ უნდა იყვნენ პატიმრების ძირითადი კონტინგენტისგან გამოყოფილნი მხოლოდ მათთვის შეფარდებული სასჯელის საფუძველზე; მათ სხვა პატიმრებთან ურთიერთობის საშუალება უნდა ჰქონდეთ რისკის შეფასების საფუძველზე, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება ყველა შესაბამისი ფაქტორი; ინდივიდუალური გეგმები უნდა ასახავდეს სისტემურ მიდგომას უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრების ნაკლებად შემზღუდავ პირობებში პროგრესულ გადაყვანასთან დაკავშირებით[35].

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23[36], რომელიც ყველაზე შესაბამისი და ამომწურავი დოკუმენტია უვადო თავისუფლებააღკვეთილ და ხანგრძლივი სასჯელის მქონე პატიმრებთან მიმართებით, ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს მათი მართვისთვის:



[34] იხ. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT) უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობა - ამონარიდი 25-ე საერთო ანგარიშიდან *[CPT/Inf (2016) 10]*, 2016 წლის აპრილი

[35] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23 წევრი სახელმწიფოებისადმი ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 9 ოქტომბერს).

[36] იქვე

• ინდივიდუალიზაციის პრინციპი: უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მოხდა უნდა ხდებოდეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიხედვით, რომელიც მორგებული უნდა იყოს მსჯავრდებულის საჭიროებებსა და რისკებზე;

• ნორმალიზაციის პრინციპი: უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები უნდა ექვემდებარებოდნენ მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია მათი უსაფრთხო და წესრიგის დაცვასთან შესაბამისი თავისუფლების აღკვეთისთვის;

• პასუხისმგებლობის პრინციპი: უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, იმოქმედონ პირადი პასუხისმგებლობის შესაბამისად ციხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის ჩათვლით;

• უსაფრთხოების პრინციპი: ნათლად უნდა გაიმიჯნოს რისკები, რომელსაც უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები უქმნიან ციხის გარეთ არსებულ საზოგადოებას, იმ რისკებისგან, რომლებსაც ისინი უქმნიან სხვა პატიმრებს და ციხეში მომუშავე პირებს;

• სეგრეგაციის დაუშვებლობის პრინციპი: უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები არ უნდა იყვნენ გამოყოფილნი მხოლოდ მათზე დაკისრებული სასჯელის საფუძველზე; მათ სხვა პატიმრებთან ურთიერთობის საშუალება უნდა ჰქონდეთ რისკის შეფასების საფუძველზე, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება ყველა რელევანტური ფაქტორი;

• პროგრესირების პრინციპი: უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები წახალისებული უნდა იყვნენ და უნდა შეეძლოთ სასჯელის მოხდის განმავლობაში გადაყვანილ იქნენ უკეთეს პირობებში და რეჟიმში მათი ინდივიდუალური მოპყრობისა და პროგრამებთან, პერსონალთან და სხვა პატიმრებთან წახალისების საფუძველზე. ყველა ზემოაღნიშნულ პრინციპი ეფუძნება იდეას, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები არ უნდა ექვემდებარებოდნენ განსხვავებულ არასახარბიელო მოპყრობას სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით მხოლოდ მათზე დაკისრებული სასჯელის ხასიათის გამო. შესაბამისად, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებრივი რეჟიმის განხილვა და შეფასება უწინარესად უნდა მოხდეს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის ჭრილში[37].



**რეკომენდაციები იუსტიციის სამინისტროს და დაწესებულების ადმინისტრაციას:**

- სოციალურმა სამსახურმა შეისწავლოს, თუ რა სახის სარეაბილიტაციო-რესოციალიზაციის აქტივობებზეა მოთხოვნა უვადო თავისუფლებააღკვეთილ და უცხოელ პატიმრებს შორის და რისკებისა და საჭიროებების შეფასების შედეგების/ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, დაწესებულებაში ამოქმედდეს ასეთი პროგრამები და მოხდეს მსჯავრდებულთა ჩართვა;
- პანდემიის პირობებში უზრუნველყოფილი იყოს რეაბილიტაციის საბაზისო სერვისები. საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდეს მათი დისტანციურად ონლაინ რეჟიმში მიწოდება;

[37] იხ. (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23)
იხ. ასევე ციხის ევროპული წესები (2006) და გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“ – 2015);

- გაგრძელდეს მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება (საჭიროებისამებრ, დისტანციურად) და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება;
- უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებთან ამოქმედდეს მინისტრის 502-ე ბრძანებით დადგენილი შემთხვევის მართვის მოდელის მიხედვით ინდივიდუალური სასჯელის მოხდის გეგმებზე მუშაობა.

## 2. უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირება

დაწესებულებაში მიღებისას, ადმინისტრაციამ თითოეულ პატიმარს დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით უნდა გააცნოს შემდეგი ინფორმაცია[38]: ა) პატიმრობის შესახებ კანონმდებლობა და შესაბამისი დაწესებულების დებულებით განსაზღვრული რეგულაციები; ბ) მისი უფლებები, მათ შორის - ინფორმაციის მოძიების ნებადართული მეთოდების, სამართლებრივი დახმარების მისაწვდომობის, საჩივრებისა და მოთხოვნების გაგზავნის შესახებ; გ) მისი მოვალეობები, ასევე დისციპლინური სახდელების შესახებ ინფორმაცია; დ) ნებისმიერი სხვა საკითხი, რაც საჭიროა პატიმრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში ადაპტაციისთვის.

N8 დაწესებულებაში მონიტორინგის დროს პატიმართა გამოკითხვისას გამოვლინდა, რომ მათ არ მიეწოდებათ წერილობითი ფორმით აღნიშნული ინფორმაცია და ეს ტენდენციის გაგრძელებას წარმოადგენს.



სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიშის მიხედვით[39], 2019 წელს N8 დაწესებულებაში გამოკითხული პატიმრების უმეტესობა არ იყო ინფორმირებული მათი უფლებების შესახებ, ასევე მოთხოვნა-საჩივრის მექანიზმის და დისციპლინური დასჯის და სამართალწარმოების შესახებ. გამოკითხული პატიმრების თქმით, მართალია, შემოსახლებისას ზეპირსიტყვიერად ხდება მათთვის რაღაც ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ უჭირთ მისი დამახსოვრება. ასევე, დაწესებულებებში ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე მუდმივად ტრიალებს ამონარიდები კანონმდებლობიდან. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია პატიმარს შემოსვლისას სტრუქტურირებულად, მისთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოს უფლება-მოვალეობების შესახებ წერილობითი ინფორმაცია და მას არ უნდა უწევდეს საკუთარი ძალისხმევით ელექტრონულად მოძიება, მით უმეტეს - მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ პენიტენციურ სტრესს განიცდის.

აღნიშნული პრობლემა ეხება პატიმართა განსაკუთრებულ კატეგორიებსაც. მონიტორინგმა ცხადყო, რომ N8 დაწესებულებაში შეყვანისას არასრულწლოვნებს არ განუმარტავენ უფლება-მოვალეობებს. ასევე, ბავშვები არ არიან ინფორმირებულნი, დაწესებულებაში მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოთხოვნა–საჩივრის დაწერის მექანიზმის შესახებ. აუცილებელია, ყოველი იქ განთავსებული

[38] ნელსონ მანდელას წესები, წესი 54.
[39] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, N2, N8, N14 და N15 დაწესებულებების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019 წ. გვ. 41-42.

არასრულწლოვანი დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლება-მოვალეობების შესახებ დეტალური წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ინფორმაციით, მათთვის გასაგებ ენაზე.

ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ ისარგებლოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარებით, აგრეთვე - უფლება, გაასაჩივროს თავისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და - უფლება, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ მათ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური მოქმედების მიმართ[40]. პატიმრობის დაწესებულებაში/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაწესებულების უფლებამოსილმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს საშუალება, წერილობით გაეცნოს ინფორმაციას თავისი უფლებების (მათ შორის, საჩივრის შეტანის უფლების) და მოვალეობების შესახებ და გასაჩივრების კანონით დადგენილი წესის თაობაზე; ასევე - არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს ინფორმაცია მისთვის გასაგები ფორმით უნდა მიეწოდოს[41].

უცხოელი პატიმრებიც არასათანადოდ არიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ. არცერთ გამოკითხულ უცხოელ პატიმარს არ მიუღია დაწესებულებაში საკუთარი უფლებების ჩამონათვალი წერილობითი ფორმით მათთვის გასაგებ ენაზე. რამდენიმე პატიმარმა აღნიშნა, რომ მათ მიაწოდეს ევროსაბჭოს მიერ დაბეჭდილი საინფორმაციო ბროშურები, თუმცა ეცნობათ, რომ ისინი მოძველებულ ინფორმაციას შეიცავდა. გამოკითხული უცხოელი პატიმრების უმრავლესობა ინფორმირებული არ იყო საჩივრების ყუთის დანიშნულებისა და სახალხო დამცველის აპარატთან ცხელი ხაზით დაკავშირების შესაძლებლობის შესახებ. პატიმრებს, მათივე თქმით, არც აკრძალულ ნივთებზე მიუღიათ ინფორმაცია.



**რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს:**

- მომზადდეს და დაიბეჭდოს უფლება-მოვალეობების, გასაჩივრების და დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების შესახებ, ასევე კანონით განსაზღვრული სხვა ინფორმაციის თაობაზე საინფორმაციო ბროშურები.

**რეკომენდაციები დაწესებულების ადმინისტრაციას:**

- არასრულწლოვან პატიმრებს მიეწოდოთ საკუთარი უფლებების და მოვალეობების შესახებ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე წერილობითი და ზეპირი ფორმით;
- უცხოელ პატიმრებს მიეწოდოთ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაცია ძირითადი უცხოური კონტიგენტისთვის გასაგებ ენებზე (ინგლისური, რუსული, თურქული, სპარსული);
- ყველა კატეგორიის პატიმართა ინფორმირება მოხდეს გასაჩივრების

[40] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (მუხლი 37).
[41] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მუხლი 94).

პროცედურების თაობაზე.

- მოხდეს პატიმართა ინფორმირება სახალხო დამცველის აპარატთან ცხელი ხაზით დაკავშირების შესაძლებლობის შესახებ.

## 3. სამედიცინო მომსახურება

ყველა პატიმარს აქვს უფლება, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით[42]. პატიმრებს, თავიანთი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, აქვთ დამატებითი დაცვის გარანტიები. პატიმრის ფუნდამენტური უფლებაა, მიიღოს სამედიცინო დახმარება ისეთი ხარისხით, რომელიც უთანაბრდება საზოგადოების ფართო წრისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხს (ეკვივალენტობის პრინციპი).

მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ სამედიცინო მომსახურების მიწოდება შეფერხებულია, რადგან პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე, ცალკეული დარგის სპეციალისტები დაწესებულებაში აღარ შედიან. ფსიქიატრის მომსახურება შეზღუდულია. პატიმრების გადმოცემით, პრობლემურია ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურების დროულობა და ხარისხიანობა. რიგ შემთხვევებში, სერიოზულად არ აღიქმება პატიმრების ჩივილები, ფიქრობენ რომ პატიმარი მანიპულირებს. პატიმრები, რომლებსაც შესამჩნევი ფსიქიკური პრობლემები აღენიშნებათ, აცხადებდნენ, რომ არ ესმით, მათი პრობლემის დაძლევაში, რა როლი უნდა შეასრულოს ფსიქოლოგმა. კორონავირუსის გავრცელების შემდეგ, პენიტენციურ სისტემაში საგანგებო პირობების შემოღების პერიოდიდან, ფსიქოლოგიც არ უნახავთ. ერთ-ერთმა პატიმარმა ძალიან დადებითად მოიხსენია დაწესებულების ექიმი ფსიქიატრი, რომელიც გულისხმიერია პაციენტების მიმართ.

ასევე გამოიკვეთა მედიკამენტების დაგვიანებით მიწოდება იმ შემთხვევებში, როდესაც საჭირო მედიკამენტი ადგილზე არა აქვთ.

პატიმრების ნაწილმა დადებითად დაახასიათა პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმები და ექთნები. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პატიმრებს, ვისაც ქრონიკული დაავადებები (მაგალითად, ჰიპერტენზია, გულის პრობლემები) აწუხებს და ყოველდღიურ ყურადღებას საჭიროებს. ამბობენ, რომ მცირედი დაგვიანებით, მაგრამ ყოველდღე მიეწოდებათ შესაბამისი მედიკამენტები, საჭიროების შემთხვევაში, წნევის გასაზომად მოდის მედდა.

ხანდაზმულ და ქრონიკულ ავადმყოფებს დროულად მიეწოდება სამედიცინო მომსახურება. ერთ-ერთი პატიმრის ცნობით, მას მაღალი არტერიული წნევა აქვს, კრიზის შემთხვევა ჰქონდა და მალევე გაუწიეს პირველადი სამედიცინო დახმარება, გადაიყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანით სამოქალაქო კლინიკაში.

თუმცა, პატიმრების ნაწილის მხრიდან მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო სხვადასხვა სახის ჩივილები. ერთ-ერთი ახალგაზრდა პატიმრის გადმოცემით, ახალგაზრდის ჯანმრთელობის პრობლემები სერიოზულად არ აღიქმება და მიმართვის მიუხედავად, გვიანდება სამედიცინო მომსახურების მიღება. ერთ-ერთმა პატიმარმა საუბრისას

[42] პატიმრობის კოდექსის მუხლი 24.

აღნიშნა, რომ მას წყლულოვანი დაავადება აქვს და ამის შესახებ აცნობა ექიმებს, მაგრამ ვიდრე მათ თვალწინ არ აღებინა სისხლიანი მასა, მანამდე არ მიაქციეს ყურადღება. საბოლოო ჯამში კი, მაინც თავად მოუწია მისი დაავადების სამკურნალო საშუალების (მედიკამენტის) დასახელების მოძიება ახლობლების დახმარებით.

**რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს:**

- გაუმჯობესდეს სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხარისხი და დროულობა.

## 4. კვება

პატიმართა და მსჯავრდებულთა კვების ნორმები დამტკიცებულია ჯანდაცვისა და იუსტიციის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით[43]. აღნიშნული ბრძანების მე-5-ე და მე-13-ე მუხლებითა და შესაბამისი დანართებით განსაზღვრულია მენიუ-განრიგი და სასურსათო ნორმები დახურული ტიპისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთათვის და პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულთათვის.

მონიტორინგის პროცესში გამოკითხული პატიმრების ნაწილი საკმაოდ უარყოფითად აფასებდა დაწესებულების მიერ მიწოდებული საკვების ხარისხს, მრავალფეროვნებას თუ საგემოვნო თვისებებს. მხოლოდ რამდენიმემ აღნიშნა, რომ მათთვის საკვები ნორმალურია და სრულად მიირთმევს. სხვები აღნიშნავდნენ, რომ გარკვეული საკვები მისაღები იყო (მაგალითად - ლობიოს კერძი ოთხშაბათს და პარასკევს), სხვა კერძებს (მაგალითად - ხორციანი სუპი) კი ან არ მიირთმევდნენ, ან მაღაზიაში ნაყიდი სუნელებით თუ მწვანილებით ცდილობდნენ გემოს გაუმჯობესებას. ზოგიერთი რესპონდენტი ამბობდა, რომ ძირითადად, მაღაზიაში შეძენილი პროდუქტებით იკვებება.



დაწესებულებაში საკვების მომზადებისას არ ხდება უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმართა რელიგიური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინება[44]. გლდანის N8 დაწესებულებაში სასჯელს იხდიან სიქხები, რომლებიც რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, არ ჭამენ ხორცს. დაწესებულებაში მათთვის არ არის უზრუნველყოფილი საკვები მათი რელიგიური და კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე. ისინი საკვებს, ძირითადად, მაღაზიაში ყიდულობენ. რელიგიური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, დაწესებულებაში საკვები არ არის უზრუნველყოფილი არც მუსლიმი პატიმრებისათვის. პატიმრების გადმოცემით, სპეციალური, ე.წ. ჰალალის წესით დამზადებული ხორცი დაწესებულების მაღაზიაში იყიდება, მაგრამ ძალიან ძვირია.

43 საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №388 (2019 წლის 6 მარტი), ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ.

44 საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ამ პრობლემის შესახებ აღნიშნულია საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურ ანგარიშში (N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში), 2019 წ., გვ. 45.

**რეკომენდაციები დაწესებულების ადმინისტრაციას:**

- საკვების მომზადებისას გაითვალისწინოს სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები;
- უზრუნველყოს დაწესებულებაში მომზადებული საკვების შესაბამისობა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით დადგენილ სტანდარტებთან.

## 5. კონტაქტი გარესამყაროსთან

დირექტორის ინფორმაციით, დაწესებულებაში ამჟამად რამდენიმე ქართული და საკაბელო უცხოური (რუსული, თურქული, სომხური, აზერბაიჯანული, ფრანგულენოვანი არაბული) არხია ხელმისაწვდომი. ასევე, დაწესებულებას აქვს თავისი ლოკალური არხი, რომელზეც საინტერესო შემეცნებით გადაცემებს უჩვენებენ პატიმრებს, რაც საუბრისას პატიმართა ნაწილმა დაადასტურა (დაწესებულების დირექტორმა ახსენა COVID-19-თან დაკავშირებით რამდენიმე ენაზე მომზადებული საინფორმაციო რგოლი).

დაწესებულების დირექტორის თქმით, არხების ტრანსლირება დამოკიდებულია სატელიტური თანამგზავრიდან დაწესებულებაში უფასო არხების მიღებაზე. თუკი სატელიტზე რომელიმე არხი მისაწვდომი აღარ არის, მისი ტრანსლირება დაწესებულებაში ვეღარ ხერხდება.



დადებითად უნდა შეფასდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის სასწავლო ოთახში „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ კუთხის გამოყოფა. აქ დგას ერთი კომპიუტერი, სადაც პატიმრები საჭიროებისამებრ ეცნობიან ყოველდღიურად განახლებად კანონთა ბაზას. ცალკე დგას კარადა, რომელშიც ახლადგამოცემული ნაბეჭდი კანონებია.

ტელეფონით საუბრისთვის პატიმრებს სართულზე ერთი ხაზის ტელეფონი აქვთ. საუბრის დრო შეზღუდული არა აქვთ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს, მაგრამ დაახლოებით ნახევარი საათი საუბრობენ, რათა სხვებსაც ჰქონდეთ სატელეფონო საუბრის შესაძლებლობა. სხვა პატიმრებს დაახლოებით 15 წუთამდე სასაუბრო დრო აქვთ. ასევე, სარგებლობენ სართულებზე სამორიგეოებში არსებული ტელეფონის აპარატით, რა დროსაც ზოგჯერ თანამშრომელიც იქვე იმყოფება და შეუძლია, მოისმინოს საუბარი. დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ ერთ-ერთ ფლიგელში გააკეთეს ევროსტანდარტით რემონტი, სადაც სატელეფონო საუბრისთვის ცალკე ჯიხური დაიდგა, იზოლირებული. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა მოინახულეს ეს სატელეფონო ჯიხური, რომელიც არის თეთრი მეტალოპლასტმასისგან შეკრული ერთი ადამიანის ზომის კონსტრუქცია, რომელსაც არა აქვს თავი დახურული და იატაკიდანაც დაახლოებით 30 სმ სიმაღლეზე ღიაა. ჯიხური განთავსებულია E8 კორპუსის მე-4 სართულზე არსებულ სამორიგეო ნაწილში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა თანამშრომელიც და ჯიხურის ღიად დატოვებული ადგილებიდან მკაფიოდ ისმოდა პატიმრის სატელეფონო საუბარი, რის გამოც კონფიდენციალობა არ იყო უზრუნველყოფილი.

პრობლემურია დაწესებულების ბიბლიოთეკის უცხოურენოვანი ლიტერატურით მომარაგების საკითხი.

**რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს:**

- გაუმჯობესდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრების გარესამყაროსთან კონტაქტის საშუალება, მათთვის გასაგებ ენებზე არხების ხელმისაწვდომობის გაზრდით

**რეკომენდაცია დაწესებულების ადმინისტრაციას:**

- უზრუნველყოს სატელეფონო საუბრის პრივატულობა.

## 6. წესრიგი, უსაფრთხოება და რეჟიმი

### ➢ *ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განცალკევებით მოთავსების წესი*

საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები[45] ითვალისწინებს ბრალდებული და მსჯავრდებული პატიმრების განცალკევებით მოთავსების პრინციპს. პატიმრობის კოდექსის[46] მიხედვით, შერეული ტიპის დაწესებულებაში ბრალდებულები იზოლირებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისაგან, როგორც მინიმუმ ერთმანეთისაგან განცალკევებული საცხოვრებელი ფართობებით.



პატიმრებთან გასაუბრებებიდან მონიტორინგის ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ ხშირ შემთხვევაში, დარღვეულია ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების ცალ-ცალკე განთავსების პრინციპი. აღნიშნულს მოწმობს ასევე დაწესებულებაში შემოწმებული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით, ხშირია კონფლიქტები ერთ საკანში განთავსებულ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შორის. ამასვე ადასტურებს თავად ადმინისტრაციის მიერ მონიტორინგის ჯგუფისთვის მოწოდებული სიაც, სადაც მოცემული საკნების ნომრებიდან შეიძლებოდა გარკვევა, რომელ საკანში იყვნენ პატიმრები ერთად განთავსებული.

2019 წელს ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშში[47] სპეციალური პრევენციული ჯგუფი N8 დაწესებულებაში ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების ერთად განთავსებას ხსნიდა დაწესებულების გადატვირთულობით და მიუთითებდა ამის ნიადაგზე ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შორის ხშირ კონფლიქტებზე. მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ყველა საკანში, სადაც ბრალდებულები იყვნენ განთავსებული, ყოველთვის იმყოფებოდა ერთი მსჯავრდებული. გადატვირთულობის გარდა, ეს ასევე აჩენს ეჭვს სუბკულტურით

[45] ნელსონ მანდელას წესები, წესი 11.ბ; განახლებული ევროპული ციხის წესები, წესი 18.8.ა
[46] პატიმრობის კოდექსი, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი
[47] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში, N2, N8, N14 და N15 დაწესებულებების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019 წ. გვ. 19

განპირობებულ მიზეზებზე. კერძოდ, მსჯავრდებულის განთავსება შესაძლოა, ხდებოდეს სპეციალურად, რათა აკონტროლოს ბრალდებულები.

**რეკომენდაცია დაწესებულების ადმინისტრაციას:**

- უზრუნველყოს ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების განცალკევებით მოთავსება კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

### *საშიშროების რისკების შეფასება, დისციპლინური სახდელები და წახალისება*

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მსჯავრდებული ჩართული უნდა იყოს რისკის შეფასების პროცესში, ჰქონდეს ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობისა და შეფასების საბოლოო დასკვნის შესახებ[48]. საერთაშორისო სტანდარტები ასევე ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულს უნდა შეეძლოს, გამოასწოროს „რისკ-ფაქტორები და სხვა მახასიათებლები, რომლებიც მის საშიშ მსჯავრდებულად კლასიფიკაციას უდევს საფუძვლად“[49].

გამოკითხულ მსჯავრდებულთა უმეტესობა არ ფლობდა ინფორმაციას რისკის შეფასების პროცედურების, მათთვის განსაზღვრული რისკისა და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. პატიმრებს არ აქვთ ინფორმაცია, თუ რა ფაქტორები მიიღება მხედველობაში საშიშროების რისკების შეფასებისას. ისინი არ არიან ჩართული რისკების შეფასების პროცესში. არ მიეწოდებათ ინფორმაცია ამ პროცესის შესახებ. მათთან არ ტარდება გასაუბრება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რაც მხედველობაში მიიღება რისკების შეფასებისას. პატიმრებისათვის უცნობია, თუ რა გარემოებებმა და რა სახის ქცევამ შეიძლება იმოქმედოს დადებითად ან უარყოფითად რისკის ტიპის დადგენაზე. პატიმრებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია რისკების შეფასების პროცესის დაწყების შესახებ. მათ მხოლოდ მინიჭებული რისკის ტიპის შესახებ აწვდიან ინფორმაციას, რისკის შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ. პატიმრებს არ აქვთ ინფორმაცია შეფასების საბოლოო დასკვნის გასაჩივრების შესაძლებლობის, ასევე, რისკის გადაფასებისა და შესაბამისი ვადების შესახებ.

საშიშროების რისკების შეფასება და რისკის ტიპის განსაზღვრა არსებით გავლენას ახდენს პატიმრის უფლებრივ მდგომარეობაზე. მინიჭებული რისკის ტიპის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა სახის რეჟიმის დაწესებულებაში და რამდენად შემზღუდავ პირობებში შეიძლება მოთავსდეს პატიმარი. მომეტებული საშიშროების რისკი განაპირობებს პატიმრების დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებას, სადაც მნიშვნელოვნად შეზღუდულია გარესამყაროსთან კომუნიკაციისა და სოციალიზაციის შესაძლებლობები. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია



[48] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2014) 3 საშიში დამნაშავეების შესახებ. 19 თებერვალი, 2014.
[49] იქვე, პუნქტი 20 .

რისკების შეფასების პროცესში პატიმრების ჩართვა, მათი პოზიციის მოსმენა, მათთან გასაუბრება, მათი ინფორმირება პროცესის მიმდინარეობისა და იმ გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს რისკის ტიპის დადგენაზე.

პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ რისკებისა და საჭიროებების შეფასებაზე პასუხისმგებელ მულტიდისციპლინურ გუნდს მათთან არ ჩაუტარებია რაიმე სახის გასაუბრება, არც რისკების გადაფასებაზე მიუღიათ ინფორმაცია იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც უკვე წლებია, სასჯელს იხდიან N8 დაწესებულებაში. მსჯავრდებულებმა გამოთქვეს იმედი, რომ მთელი სასჯელის ვადის N8 დაწესებულებაში მოხდა არ მოუწევთ, მაგრამ ასევე აღნიშნეს, რომ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადასვლის სურვილი არა აქვთ იქ პატიმართა შორის კონფლიქტების, არაფორმალური წესებისა თუ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაკლები გარანტიების არსებობის გამო.

არცერთი გამოკითხული უცხოელი პატიმრის მიმართ არ ჰქონია ადგილი წახალისების რაიმე ფორმის გამოყენებას, მათი ინფორმაციით. ერთ-ერთმა უცხოელმა პატიმარმა ამასთან დაკავშირებით მონიტორინგის ჯგუფთან აღნიშნა - „არ არსებობს წახალისება, რომ პატიმარი კარგად მოიქცეს“.

## რეკომენდაციები იუსტიციის სამინისტროს და დაწესებულების ადმინისტრაციას

- კანონმდებლობით განისაზღვროს და პრაქტიკაში განხორციელდეს პენიტენციური დაწესებულებების მიერ მსჯავრდებულთა დაწესებულებაში მიღებისა და საშიშროების რისკის შეფასების დაწყებისას ან რისკის გადაფასებისას რისკების შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ ინფორმირების ვალდებულება;
- კანონმდებლობაში განისაზღვროს და პრაქტიკაში განხორციელდეს მსჯავრდებულის უფლება, ჩართული იყოს რისკების შეფასების პროცესში, წარადგინოს საკუთარი პოზიცია იმ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც ხდება რისკის სახის დადგენა, ჰქონდეს ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობისა და შეფასების საბოლოო დასკვნის შესახებ;
- განხორციელდეს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ უცხოელ პატიმრებთან სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმებზე მუშაობა, სათანადოდ იქნეს გამოკვლეული მათი ინდივიდუალური საჭიროებები და შესაბამისად დაიგეგმოს მათი ჩართვა სარეაბილიტაციო-რესოციალიზაციის აქტივობებში;
- პრაქტიკაში დამკვიდრდეს წახალისების სხვადასხვა ფორმები უცხოელი პატიმრების მიმართ, კარგი ქცევის შესაბამის შემთხვევებში;
- პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გათვალისწინებით, რისკების შეფასების პროცესი განხორციელდეს დისტანციურად, ელექტრონული საშუალებებით.

### ➢ *სრული შემოწმება გაშიშვლების გზით*

„მანდელას წესების“ შესაბამისად, პატიმრებისა და საკნების ჩხრეკის მარეგულირებელი კანონები და დებულებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს და ითვალისწინებდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს ციხეებში უსაფრთხოების შენარჩუნების საჭიროების გათვალისწინებით[50]. პირადი შემოწმება უნდა ტარდებოდეს შემოწმების ობიექტის ადამიანური ხელშეუვალი ღირსებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემით, თანაზომიერების, კანონიერებისა და აუცილებლობის პრინციპების დაცვით.[51]

პატიმრების (როგორც მსჯავრდებული, ისე ბრალდებული) გამოკითხვის შედეგად, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დაწესებულებაში პირველი მიღებისას მათ ამოწმებენ სრული გაშიშვლების გზით და აკეთებინებენ ბუქნს. ასეთი შემოწმება წარმოადგენს უსაფრთხოების მიზნით პირის შემოწმებას, რათა აღიკვეთოს პატიმრების მიერ დაწესებულებაში აკრძალული ნივთის შეტანა. პირადი შემოწმების მიზნით პატიმრებისათვის ბუქნის გაკეთების მოთხოვნა წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას და მსგავსი პრაქტიკა დაწესებულებაში დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. ასევე დაუშვებელია პირადი სრული შემოწმება პატიმრის ერთიანად გაშიშვლების გზით. დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას შესაძლოა, გამოიყენონ გაშიშვლება, მაგრამ ტანსაცმლის გახდა უნდა მოხდეს არა მთლიანად, არამედ ნაწილ-ნაწილ - ორ ეტაპად (წელს ზემოთ, შემდეგ - წელს ქვემოთ). ასევე, პატიმარს უნდა შესთავაზონ, შემოწმების რომელ მეთოდს ირჩევს იგი, პირად სრულ შემოწმებას თუ სკანერს და განემარტოს, თუ რას ითვალისწინებს ორივე ეს მეთოდი.



წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სრული გაშიშვლება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული ეჭვის საფუძველზე, შესაბამის გარემოში და განხორციელდეს ადამიანის პატივისა და ღირსების პატივისცემის პირობებში[52]. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სრული შემოწმებისას არ უნდა მოხდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გაშიშვლება[53]. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *უეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* - აღნიშნა, რომ სრული შემოწმება, ზოგადად, წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სრული შემოწმების გამოყენება იყოს

[50] ნელსონ მანდელას წესები, წესი 50.
[51] იქვე.
[52] ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ბულგარეთის მთავარობისადმი ბულგარეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ 2014 წლის 24 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით, გამოქვეყნდა 2015 წლის 29 იანვარს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/
[53] ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთის მთავარობისადმი ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT), მიერ 2014 წლის 1-10 აპრილის ჩათვლით, პარა. 85, გამოქვეყნდა 2015 წლის 31 მარტს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/

კანონთან შესაბამისობაში, გამოიყენებოდეს, როგორც აუცილებელი უკიდურესი ზომა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად[54].

მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციით, N8 დაწესებულებაში კვლავ პრობლემად რჩება უსაფრთხოების მიზნით ასევე არასრულწლოვნების შემოწმება სრული გაშიშვლებით. თანამშრომლის მითითებით ბავშვებს უწევთ საცვლის ჩაწევა და ბუქნის გაკეთება. არასრულწლოვნების თავდაპირველად შეყვანისას დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით[55] ხდება მათთვის კუთვნილი ნივთების ჩამორთმევა და მათი უსაფრთხოების მიზნით შემოწმება დაწესებულების თანამშრომლის მიერ. ეს პროცედურა პრაქტიკაში გულისხმობს ჯერ სკანერის აპარატით შემოწმებას, შემდეგ კი არასრულწლოვნებისგან მოითხოვენ სრულ გაშიშვლებას და ერთი ბუქნის გაკეთებას. ბოლოს, სამედიცინო მიზნებისთვის, ექიმი ატარებს პირველად სამედიცინო შემოწმებას. ამ პროცესს, უმეტეს შემთხვევაში, ესწრება დაწესებულების თანამშრომელიც, რაც არღვევს სამედიცინო კონფიდენციალობის პრინციპს[56].

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სკანერი უნდა გამოიყენებოდეს როგორც შემოწმების ალტერნატიული[57] და არა - ერთ-ერთი დამატებითი საშუალება; შემოწმების მიზნით არასრულწლოვნების სრული გაშიშვლება უნდა ტარდებოდეს დასაბუთებული აუცილებლობისას, არასრულწლოვანი პატიმრების ღირსების პატივისცემის პირობებში და აიკრძალოს ბუქნის გაკეთების მოთხოვნა. ასევე, სამედიცინო კონფიდენციალობის უზრუნველყოფისთვის არ არის მიზანშეწონილი ექიმის მიერ არასრულწლოვნის შემოწმებას რუტინულად ესწრებოდეს დაწესებულების თანამშრომელი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექიმი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ამას ითხოვს). სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, „მიუხედავად იმისა, რომ პატიმრის სამედიცინო შემოწმებაზე დაწესებულების თანამშრომლის დასწრება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში[58], პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული პრაქტიკით, პატიმრის შეხვედრას ექიმთან ყველა შემთხვევაში ესწრება დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელი, რომლისთვისაც ცნობილი ხდება ექიმისა და პატიმრის საუბრის შინაარსი“[59].



[54] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის განჩინება საქმეზე უეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wainwright v. the United Kingdom), პარ 42-43. 11 სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 71, 75.

[55] N8 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხლი 15, მუხლი 16,

[56] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „შემოწმებაზე მესამე პირის დასწრება დაუშვებელია. თუ ექიმი, თავისი ან პაციენტის უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს დაწესებულების მოსამსახურის დასწრებას, სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურის მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით, მოსმენის გარეშე“.

[57] ნელსონ მანდელას წესები, წესი 52 .

[58] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „შემოწმებაზე მესამე პირის დასწრება დაუშვებელია. თუ ექიმი, თავისი ან პაციენტის უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს დაწესებულების მოსამსახურის დასწრებას, სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურის მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით, მოსმენის გარეშე“.

[59] სახალხო დამცველის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 51.

**რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს**

- არასრულწლოვანთა სრული შემოწმების პროცედურები გადაიხედოს, უფრო დეტალურად გაიწეროს კანონქვემდებარე აქტით და დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს/პოზიტიურ პრაქტიკას.

**რეკომენდაციები დაწესებულების ადმინისტრაციას**

- განახორციელოს ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების განცალკევებით განთავსება, კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად; შეუქმნას თითოეული ამ კატეგორიის პატიმარს კანონმდებლობით მათთვის დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი და უზრუნველყოს სათანადო უფლებრივი მდგომარეობა;
- პატიმრის სამედიცინო შემოწმებას რუტინულად არ ესწრებოდეს დაწესებულების თანამშრომელი; დასწრების შემთხვევაში, ხორციელდებოდეს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობა მოსმენის გარეშე.

## 7. მოპყრობა და ინსტიტუციური გარემო



არასათანადო მოპყრობის რისკების კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ არსებული ვითარება, რაც უკავშირდება პანდემიის პერიოდში თანამშრომლების არანორმირებულ სამუშაო გრაფიკს, პატიმართა მიმართ მათ დამოკიდებულებებზეც აისახება. ის, რომ - თანამშრომლები პანდემიის პერიოდში გადაიღალნენ ყაზარმულ რეჟიმზე ყოფნის გამო, მოემატათ სტრესის დონე, თვალსაჩინო იყო პატიმრებთან ურთიერთობაში. მონიტორინგის ჯგუფის წევრები უშუალოდ შეესწრნენ ფაქტს, თუ როგორ ეჩხუბებოდა თანამშრომელი პატიმარს და ორივე ერთ ხმაზე - ხმამაღლა უყვიროდნენ ერთმანეთს. მოგვიანებით მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან აღნიშნა თანამშრომელმა, თუ როგორ გადაიღალა.

ზოგადად, პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ „როგორც მოიქცევი, ისე მოგექცევიან“. შედარებით გულისხმიერ დამოკიდებულებას დაწესებულების თანამშრომლები იჩენენ ხანდაზმული ასაკის პატიმრების და მათი საჭიროებების მიმართ, დამოკიდებულებაც უფრო გამსჭვალულია პატივისცემით.

პატიმრებისაგან მიღებული ინფორმაციით, პანდემიამდე ისინი უფრო მეტ ზრუნვასა და ყურადღებას გრძნობდნენ ოფიცრების მხრიდან, რომელთაც მეტი კონტაქტი ჰქონდათ მათთან, შესაბამისად მეტი საშუალება არსებობდა იმისათვის, რომ მათთვის მიემართათ დახმარების თხოვნით, სხვადასხვა საჭიროებებთან დაკავშირებით. პანდემიის, დაწესებულების ყაზარმულ რეჟიმზე გადასვლისა და ოფიცრების რაოდენობის შემცირების შემდეგ კი, პატიმრებს, მათი თქმით, მსგავსი ყურადღება მოაკლდათ, რადგან თანამშრომლები საქმეს ვერ აუდიან.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონიტორინგმა გამოავლინა დაწესებულებაში მომსახურე, ყაზარმულ რეჟიმზე გადასული თანამშრომლების მხრიდან უცხოელი პატიმრების მიმართ ადეკვატური ყურადღების გამოჩენისა და მათთან კომუნიკაციის ცალკეული პოზიტიური შემთხვევებიც. N8 დაწესებულებაში მონიტორინგის დროს გამოკითხულმა არაერთმა უცხოელმა პატიმარმა

განსაკუთრებით დადებითად დაახასიათა ერთ-ერთი ოფიცერი, რომელიც ყურადღებიანია პატიმრების მიმართ, სრულფასოვნად პასუხობს მათ შეკითხვებს, აწვდის ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ და მაქსიმალურად ცდილობს, რეაგირება მოახდინოს მათ კანონიერ მოთხოვნებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

N8 დაწესებულებაში პატიმრებისგან მიღებული ინფორმაციით, ვლინდება კრიმინალური სუბკულტურისთვის დამახასიათებელი პრაქტიკა, რაც გამოიხატება ზოგიერთი პატიმრის მიერ სხვების დაჩაგვრის, მათზე ძალაუფლების მოპოვებისა და შევიწროების ფაქტებში. სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში ნახსენებია ზოგიერთი პატიმრის მიერ სხვებზე ძალაუფლების მოპოვებისა და მათი დაჩაგვრის შემთხვევების შესახებ. „დახურული ტიპის დაწესებულებებში იკვეთება შემთხვევები, როდესაც ერთი პატიმარი ცდილობს აკონტროლოს თანამესაკნეები და მათზე ფსიქოლოგიურად იძალადოს. N8 დაწესებულებაში დაფიქსირდა ერთი პატიმრის მიერ საერთო სარგებლობის ნივთების პირადი მოხმარებისთვის მისაკუთრების ფაქტი. სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეიტყო, რომ ამავე დაწესებულებაში ერთი პატიმარი ცდილობდა ეკონტროლებინა საკანი და შემოეტანა წესები. მისთვის უნდა მიეცათ ბარათები, ის გადაწყვეტდა, რას იყიდდნენ, როგორ მოაწყობდნენ საკანს. ვინაიდან მას კარგი კონტაქტები ჰქონდა დაწესებულებაში და მის გარეთაც, სხვა პატიმრებსაც ეშინოდათ მისი[60]“. აღნიშნულის თაობაზე პატიმრებმა აცნობეს ასევე მონიტორინგის ჯგუფს. მონიტორინგის დროს პატიმრის მიერ სხვებისთვის თანხის გამოძალვის, ასევე სხვა პატიმრებისთვის სატელეფონო ბარათების გამორთმევის შემთხვევების შესახებაც გახდა ცნობილი. მონიტორინგის ჯგუფს ეცნობა ასევე უცხოელი პატიმრების მაღაზიის ბარათის მოპარვის და ბარათზე დარიცხული თანხის დახარჯვის სავარაუდო შემთხვევის შესახებაც.



ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ პატიმრების ინფორმაციით, დაწესებულების მაღაზიაში ყოველ შენაძენზე დამატებითი ხარჯები ერიცხებათ, რადგან დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული მსჯავრდებულები დაახლოებით 5-6 ლარის სიგარეტსაც ყიდულობენ მათი ბარათიდან და ეუბნებიან, რომ ეს არის „ფეხის ქირა“.

### რეკომენდაცია დაწესებულების ადმინისტრაციას

- N8 დაწესებულების ადმინისტრაციამ შეისწავლოს და აღკვეთოს პატიმრების მიერ სხვა პატიმრების ჩაგვრისა და შევიწროების ფაქტები.

### რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს

- იუსტიციის სამინისტრომ და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს პროფესიული „გადაწვის“ პრევენციის ღონისძიებები ყაზარმულ რეჟიმზე მყოფი თანამშრომლებისათვის.

[60] სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ვიზიტის შემდგომი სპეციალური ანგარიში, 2019 წ. გვ. 10

# 8. განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრები

## 8.1 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პირველ დღეს იმყოფებოდა 20 არასრულწლოვანი, აქედან: 14 ბრალდებული, 5 მსჯავრდებული და 1 მსჯავრდებულის და ბრალდებულის სტატუსით.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არასრულწლოვანის პატიმრობაში ყოფნა არის უკიდურესი ღონისძიება და სახელმწიფომ მაქსიმალური უნდა გააკეთოს, რათა ბავშვი არ მოხვდეს საპატიმრო დაწესებულებაში[61]. უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში არასრულწლოვნის საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მცირე.

პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ხდება არასრულწლოვანთა მიღება და განთავსება, უნდა იყოს ბავშვზე მორგებული გარემო. დაუშვებელია არასრულწლოვნის ყოფნა ისეთ გარემოში , სადაც შეიძლება განიცდიდეს არაადამიანურ მოპყრობას, მისი ღირსება შეიძლება შეილახოს და ის მოკლებული იყოს განვითარების შესაძლებლობას.

პატიმრობაში მყოფი ან თავისუფლებააღკვეთილი ყოველი ბავშვი უნდა სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და მისი პიროვნების განუყოფელი ღირსების პატივისცემით მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კერძოდ, ყველა ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისგან (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება არ ღირს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის) და ჰქონდეს უფლება კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის და პაემნის მეშვეობით, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა[62].



ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ N8 დაწესებულებაში კვლავ პრობლემურია არასრულწლოვან პატიმართა მიღება-განთავსების პროცედურები, გრძელდება საპატიმრო დაწესებულებაში პირველად შეყვანისას არასრულწლოვნების სრული შემოწმების ხარვეზიანი პრაქტიკა. ასევე პრობლემურია არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ დეესკალაციის ოთახების და უსაფრთხო საკნების გამოყენება არაფორმალური დასჯის მიზნით, ბავშვების მიერ საპატიმრო დაწესებულებაში მათი უფლება-მოვალეობების შესახებ სრული ინფორმაციის არქონა.

### ➢ *მიღება და განთავსება*

მონიტორინგის მსვლელობისას ჯგუფმა დაადგინა, რომ ხდება ბრალდებული და მსჯავრდებული არასრულწლოვნების ერთად განთავსება, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის[63] და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს[64]. როგორც სრულწლოვანი პატიმრების შემთხვევაში, აქაც ძირითადი მიზეზია დაწესებულების

[61] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 37.
[62] იგივე.
[63] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 81-ე მუხლის 1 ნაწილის ა) ქვეპუნქტი
[64] გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, წესი 17

გადატვირთულობა. ეს ფქტი ზრდის ბრალდებულ და მსჯავრდებულ პატიმრებს შორის კონფლიქტების წარმოშობის რისკს.

### ➢ *დაწესებულებაში არსებული რეჟიმი და დისციპლინური სამართალწარმოება*

მიღებისთანავე და შემდგომშიც, იმდენად ხშირად, რამდენადაც ეს საჭიროა, ყველა პატიმარი უნდა იყოს ინფორმირებული წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ფორმით, მათთვის გასაგებ ენაზე, - ციხეში დისციპლინის მართვის წესებისა და მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ[65]. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად[66], არასრულწლოვან ბრალდებულს და მსჯავრდებულს, დაწესებულებაში მოთავსებისას, დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს საშუალება წერილობით, მისთვის გასაგები ფორმით, გაეცნოს ინფორმაციას თავისი უფლებების (მათ შორის, საჩივრის შეტანის უფლების) და მოვალეობების შესახებ და გასაჩივრების კანონით დადგენილი წესის თაობაზე, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარ არასრულწლოვან პატიმარს ზეპირად უნდა განემარტოს. იმავეს ითვალისწინებს არასრულწლოვანთა პატიმრობასთან დაკავშირებული სტანდარტები[67].

მონიტორინგის პროცესში, შემოწმებისას გაირკვა, რომ დაწესებულებაში არსებული ოფიციალური წესების შესახებ არასრულწლოვნებს მწირი ინფორმაცია აქვთ. გამოკითხული არასრულწლოვნების განმარტებით, დაწესებულებაში არსებობს წესები, რომელთა შესახებაც ეცნობათ ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და თანასაკნელის მიერ. არასრულწლოვნების გადმოცემით წესები არის შემდეგი: არ უნდა იხმაურონ, უნდა დაასუფთაონ საცხოვრებელი საკანი და ბავშვებმა არ უნდა იჩხუბონ ერთმანეთში. არასრულწლოვნებს, ასევე, არა აქვთ ინფორმაცია დაწესებულებაში არსებული მოთხოვნა-საჩივრის და დისციპლინური წარმოების პროცედურის შესახებ.

N8 დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილების ადმინისტრაციის განმარტებით, არასრულწლოვნებთან არ მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები, რადგან კანონის მოთხოვნის თანახმად, არასრულწლოვნებთან მიმართებით დისციპლინური წარმოება შედარებით რთულია და კანონი ითვალისწინებს გარკვეულ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება პრაქტიკულ სირთულეებს უკავშირდება. მათ შორის ერთ-ერთი მოთხოვნაა, საქმის განხილვის დროს არასრულწლოვნის სურვილით პროცესში ადვოკატის მონაწილეობა. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური დარღვევის საქმის განხილვისას ჰყავდეს ადვოკატი. ზეპირი მოსმენის დაწყებამდე არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემარტება ადვოკატის მოწვევის უფლება, რომელიც შესაბამისი თანხმობის მიღების შემთხვევაში ხორციელდება განმარტებიდან 6 საათის განმავლობაში. თუ დადგენილ ვადაში



[65] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2-rev წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით (30.1)
[66] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 94-ე მუხლი
[67] გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, წესები 24 და 25

ადვოკატი არ გამოცხადდება, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნება[68].

ადმინისტრაციის განმარტებით, დისციპლინური გადაცდომის დროს ცდილობენ, პრობლემა მოაგვარონ არასრულწლოვანთან გასაუბრების გზით. ხოლო თუ ვერ მოხერხდა არასრულწლოვნის დამშვიდება, მაშინ შესაძლოა, იგი მოათავსონ უსაფრთხო საკანში. შეიძლება ითქვას, რომ ეს პრაქტიკა დასჯას ემსახურება.

არასრულწლოვნებთან მიმართებაში დისციპლინური წარმოების ფაქტების არარსებობა შესაძლოა, დადებითად შეფასებულიყო. თუმცა, მონიტორინგის პროცესში მიღებული ინფორმაციით, დისციპლინური გადაცდომის დროს დაწესებულებაში, დისციპლინური სამართალწარმოების გამოუყენებლობის პირობებში, ცალკეულ შემთხვევებში ხდება არასრულწლოვნების არაფორმალური დასჯა.

## ➢ *უსაფრთხო საკანში და დეესკალაციის ოთახში მოთავსება*

### უსაფრთხო საკანი

არცერთმა ბავშვმა არ უნდა განიცადოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა[69]. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნების და ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრიორიტეტულობის მიუხედავად, მონიტორინგის დროს N8 დაწესებულებაში დაფიქსირდა უსაფრთხო საკნებში არასრულწლოვნების მოთავსების შემთხვევები.



ადმინისტრაციის განმარტებით, ბავშვებს შორის დაპირისპირების დროს, დაწესებულების თანამშრომლები სიტუაციის მოგვარებას ცდილობენ მათთან გასაუბრებით ან არასრულწლოვნის სხვა საკანში გადაყვანის გზით. თუმცა, მონიტორინგის მიმდინარეობისას ერთ-ერთი არასრულწლოვანი უსაფრთხო საკანში იყო მოთავსებული იმ მიზეზით, რომ მას კონფლიქტი მოუვიდა თანასაკნელთან.

N8 დაწესებულებაში ნულოვან სართულზე სამარტოო საკნებს შორის განთავსებულ უსაფრთხო საკნებში ხდება არასრულწლოვნების მოთავსება. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უსაფრთხო და სამარტოო საკნების პირობებს შორის განსხვავება თითქმის არ არის. სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეფასებით[70], ე.წ. უსაფრთხო საკანი წარმოადგენს სამარტოო საკანს, რომელიც აღჭურვილია ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემით, არამსხვრევადი ხელსაბანითა და ტუალეტის ნიჟარით, რის გამოც მას პრაქტიკაში უწოდებენ „უსაფრთხო საკანს“ და სადაც უსაფრთხოების ღონისძიების სახით ხდება პატიმრის მოთავსება არაუმეტეს 24 საათისა[71]. ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის[72] მიხედვით, არასრულწლოვანი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსება დაუშვებელია. პატიმრობის კოდექსის მიხედვით,

[68] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 93
[69] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (მუხლი 37)
[70] სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში, 2019 წ., გვ. 23
[71] პატიმრობის კოდექსის 57-ე მუხლის 1 ნაწილის გ) ქვეპუნქტი: არაუმეტეს 24 საათით სამარტოო საკანში მოთავსება.
[72] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 92-ე მუხლის მე-2 ნაწილი

დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება[73].

ერთ პატიმარზე გათვლილ უსაფრთხო საკანში, არსებულ არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან ერთად, შეინიშნება ნესტი. საკანში ჩამონტაჟებული სარკმელი გაუმჭვირვალე მინით ვერ ქმნის საკმარის ბუნებრივ განათებას. საკნის ბუნებრივი ვენტილაცია არ ხდება, ხოლო ხელოვნური ვენტილაცია არ არის საკმარისი. საკანში დამოტანჟებული ვიდეოკამერა ფარავს მთელი საკნის არეალს, მათ შორის - ტუალეტის ნიჟარას. საკანში იდგა მხოლოდ ერთი დაჟანგებული, ჩარეცხვით დაზიანებული და დაბინძურებული ანტივანდალური უნიტაზი ზემოდან ხელსაბანით. უსაფრთხო საკანში ბეტონით ამოშენებულ დასაწოლზე, ზემოდან დაკრულ ხეზე დაგებული იყო ლეიბი.

N8 დაწესებულების უსაფრთხო საკნების შემოწმების დროს, მონიტორინგის ჯგუფს დახვდა იქ განთავსებული არასრულწლოვანი, რომელსაც არ ჰქონდა გადაცემული პირადი ჰიგიენის ნივთები. უსაფრთხო საკანში არსებულ მძიმე სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში მყოფ ბავშვს ჰქონდა მხოლოდ ერთი პლასტმასის წყლის ჭიქა. ასევე, დაბინძურებულ და დაზიანებულ ლეიბზე ედო პურის ნაჭერი.

არასრულწლოვნის უსაფრთხო საკანში მოთავსების ოფიციალური საფუძველი, შესაბამისი ჟურნალის ჩანაწერების მიხედვით, იყო მისი „ქცევის არაადეკვატურობა“. მაგრამ არასრულწლოვანთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მას კონფლიქტი მოუხდა თანასაკნელთან, რის შემდეგაც გადაიყვანეს უსაფრთხო საკანში. შესაბამისად, შესაძლოა, არასრულწლოვნის უსაფრთხო საკანში მოთავსების ღონისძიება გამოყენებული იყო მისი დასჯის და არა - უსაფრთხოების მიზნით. მონიტორინგის დროს მიღებული ინფორმაციით, არასრულწლოვანთა განყოფილების ადმინისტრაცია ინფორმირებული იყო, რომ ბავშვებს შორის კონფლიქტის გამო, მათ არ სურდათ ერთ საკანში ყოფნა. თუმცა, ირკვევა, რომ ადმინისტრაციას არ გაუტარებია პრევენციული ზომები (მაგალითად - პატიმართა დროებით განცალკევება სხვადასხვა საკანში) ბავშვებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. ეს კი ცალსახად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს[74].



მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ არასრულწლოვნის უსაფრთხო საკანში მოთავსება უტოლდება მის სამარტოო საკანში მოთავსებას, რაც უგულებელყოფს ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონმდებლობით დადგენილ აკრძალვებს[75] და საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს, როგორც ეს ზემოთ არის

[73] პატიმრობის კოდექსი, 57-ე მუხლის მე-5 ნაწილი

[74] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 წევრი სახელმწიფოებისადმი, სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპული წესების შესახებ. წესი 88.1. წესრიგი უნდა დამყარდეს უსაფრთხო და დაცული გარემოს, არასრულწლოვნის ღირსებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის პატივისცემის ატმოსფეროს შექმნის გზით, რაც ხელს შეუწყობს მათი განვითარების ძირითადი მიზნების შესრულებას. წესი 88.3. პერსონალმა უნდა შეიმუშაოს უსაფრთხოებისა და დაცულობის მიმართ დინამიკური მიდგომა, რომელიც დაეფუძნება არასრულწლოვნებთან პოზიტიურ ურთიერთობებს. წესი 88.4. უნდა ხდებოდეს არასრულწლოვანთა წახალისება, რათა მათ ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეუწყონ ხელი დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნებას.

[75] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 92-ე მუხლის მე-2 ნაწილი: არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსება დაუშვებელია.

აღნიშნული. ბავშვის უსაფრთხო საკნის პირობებში ყოფნა, გამომდინარე იქ არსებული საცხოვრებელი პირობებიდან, უტოლდება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და ასევე უხეშად არღვევს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპს. აგრეთვე, ირღვევა კანონმდებლობის მოთხოვნა, რომ არასრულწლოვან ბრალდებულებს ან მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ სხვა ბრალდებულებისგან ან მსჯავრდებულებისგან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის ჯგუფს მიაჩნია, რომ გაუმართლებელია აღნიშნულ საკნებში არასრულწლოვნის მოთავსება დასჯის მიზნით.

შესწავლილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ 2020 წლის 1 იანვრიდან 7 აგვისტოს ჩათვლით დაფიქსირდა არასრულწლოვნების უსაფრთხო საკანში მოთავსების 10 შემთხვევა. აქედან ქვემოთ ცხრილში მოყვანილი ექვსი შემთხვევა (28 ივლისიდან 3 აგვისტომდე პერიოდში) ეხებოდა ერთ არასრულწლოვანს, რომელიც ექვსი დღის განმავლობაში, 24 საათის გასვლის შემდგომ გამოყავდათ უსაფრთხო საკნიდან და, უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ აბრუნებდნენ იქ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ N8 დაწესებულების უსაფრთხო საკანში განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვის ჟურნალში არსებული ჩანაწერების მიხედვით არასრულწლოვანმა უსაფრთხო საკანში მცირე ინტერვალებით გაატარა 6 დღე-ღამე.



| N | შეყვანის დრო | გამოყვანის დრო |
|---|---|---|
| 1 | 17.04. 2020 წელი 15:55 სთ. | 18.04. 2020 წელი 13:21 სთ. |
| 2 | 18.04. 2020 წელი 19:54 სთ. | 19.04. 2020 წელი 14:20 სთ. |
| 3 | 19.04. 2020 წელი 20:07 სთ. | 20.04. 2020 წელი 20:07 სთ. |
| 4 | 28. 07. 2020 წელი 01:46 სთ. | 29. 07. 2020 წელი 21:46 სთ. |
| 5 | 29. 07. 2020 წელი 21:51 სთ. | 30. 07. 2020 წელი 21:41 სთ. |
| 6 | 30. 07. 2020 წელი 21:56 სთ. | 31. 07. 2020 წელი 21:56 სთ |
| 7 | 31. 07. 2020 წელი 22:01 სთ | 01. 08. 2020 წელს 22:01 სთ. |
| 8 | 01. 08. 2020 წელი 22:06 სთ. | 02. 08. 2020 წელი 22:06 სთ. |
| 9 | 02. 08. 2020 წელი 22:11 სთ. | 03. 08. 2020 წელი 15:08 სთ. |
| 10 | 05. 08. 2020 წელი 20:39 სთ | 06. 08. 2020 წელი |

პატიმრობის კოდექსი ითვალისწინებს უსაფრთხოების სხვა ღონისძიებებს, როგორიცაა - პატიმრის სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება, ან დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა. თუ არასრულწლოვნის უსაფრთხოების ინტერესი მოითხოვს, მაშინ მიზანშეწონილია ამ

ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება. ასეთ შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს ევროპული სტანდარტების მოთხოვნები[76].

## დეესკალაციის ოთახი

კვლევამ აჩვენა, რომ N8 დაწესებულებაში კვლავ მანკიერ პრაქტიკად რჩება უსაფრთხოების მიზნით არასრულწლოვნის დეესკალაციის ოთახში მოთავსება. 2020 წლის 1 იანვრიდან 7 აგვისტოს ჩათვლით დეესკალაციის ოთახში 3 დღით მოთავსებული იყო ერთი არასრულწლოვანი. N8 დაწესებულების დებულების მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით: ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში შეიძლება განთავსდეს იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რამაც მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსება განაპირობა, მაგრამ არაუმეტეს 72 საათისა. მოცემულ შემთხვევაში არ იყო არასრულწლოვანის ამ დროით დეესკალაციის ოთახში მოთავსების საჭიროება დასაბუთებული.

| N | შეყვანის დრო | გამოყვანის დრო |
|---|---|---|
| 1 | 29. 04. 2020 წელი 23:36 სთ. | 02. 05. 2020 წელი 11:18 სთ. |

სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახულია, რომ დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (ე.წ. უსაფრთხო) საკნებში მოთავსების, როგორც არაფორმალური დასჯის პრაქტიკა კვლავ გრძელდება, მათ შორის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში. „პატიმრების დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (ე.წ. უსაფრთხო) საკნებში, ფაქტობრივად, უწყვეტად, ხანგრძლივი დროით მოთავსების პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობაა“[77]. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ ამგვარ საკნებში უკიდურესად მძიმე სანიტარულ-ჰიგიენური პირობებია და პატიმრებს მთელი რიგი უფლებები შეზღუდული აქვთ. ასევე, შეზღუდულია პირად ნივთებზე და ჰიგიენის საშუალებებზე წვდომა. „დეესკალაციის ოთახებში ყოფნის დროს, პატიმრებს უმეტესად არ ეძლევათ შხაპის მიღების და გასეირნების საშუალება, შეზღუდული აქვთ მაღაზიით სარგებლობის, სატელეფონო ზარით, პირადი მიმოწერით და პაემნით სარგებლობის უფლება. არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. პატიმრების განცხადებით, დეესკალაციის ოთახში მათ შეზღუდული აქვთ, მათ შორის, სახალხო დამცველთან და ადვოკატთან დარეკვის უფლებაც. მათ არ აძლევენ სიგარეტს, საკნის ფანჯარა დაკეტილია და უჰაერობაა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პატიმრები ხსენებულ საკნებში/ოთახებში მოთავსებას დასჯად აღიქვამენ“[78]. საქართველოს სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი თვლის, რომ დაუშვებელია არასრულწლოვნის



[76] განახლებული ციხის ევროპული წესები (2006)2-rev, წესი 53ა
[77] სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 57-58. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე http://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf .
[78] იქვე.

მოთავსება დეესკალაციის ოთახში არსებულ პირობებში, ვინაიდან აღნიშნული შესაძლოა, გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას[79].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოთხსენებული არასრულწლოვნის დეესკალაციის ოთახში მოთავსების დროს და მის შემდგომაც რისკების მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით არ მომხდარა მასთან მულტიდისციპლინური მუშაობა[80]. არასრულწლოვნის დეესკალაციის ოთახში მოთავსება არ აღიქმება, როგორც საფრთხეების თავიდან აცილება. დეესკალაციის ოთახში არსებული მძიმე ფიზიკური გარემო, ასევე იქ მოთავსების შემთხვევაში თანმდევი მინიმალური უფლებების შეზღუდვა ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნებს და ბავშვის უფლებათა კონვენციის სულისკვეთებას. არასრულწლოვანთა იზოლირების ნებისმიერი ფორმა არის ღონისძიება, რომელსაც შეუძლია, ზიანი მიაყენოს მათ ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ჯანმრთელობას და ამიტომ გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ როგორც უკიდურესი საშუალება[81]. მოძალადე ანდა აჟიტირებული მოზარდის მოთავსება დამამშვიდებელ ოთახში უნდა იყოს უაღრესად საგამონაკლისო ღონისძიება. ასეთი ზომა არ უნდა გაგრძელდეს რამდენიმე საათზე მეტხანს და არასოდეს არ უნდა იყოს გამოყენებული არაფორმალური სასჯელის სახით, ამავე დროს - სათანადოდ დოკუმენტირებული სახით, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა განხორციელდეს[82].

კრიზისულ სიტუაციებში არასრულწლოვნებთან მიმართებაში აუცილებელია მულტიდისციპლინური მიდგომა. მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე იყოს მიღებული გადაწყვეტილება, რომ აღმოიფხვრას არასრულწლოვნების უსაფრთხო საკანში და დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა.



**რეკომენდაცია იუსტიციის მინისტრს:**

- იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ უსაფრთხოების ღონისძიებების და სპეციალური საშუალებების გამოყენების წესი და პირობები, რათა ნათლად და მკაფიოდ განისაზღვროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ღონისძიებები და საშუალებები (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 80-ე მუხლის თ) ქვეპუნქტის შესაბამისად);

[79] სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში დაწესებულებებში ვიზიტის შესახებ, 2019, გვ. 49.

[80] იქვე, გვ.49 „საქართველოს სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნის ფსიქოემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, საფრთხე შეექმნება მის ან სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, დეესკალაციის ოთახში მოთავსების ნაცვლად დაწესებულების ადმინისტრაციამ მყისიერად უნდა უზრუნველყოს მულტი–დისციპლინური გუნდის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) ჩართვა და საფრთხეების აღმოფხვრა ვერბალური დეესკალაციის მეთოდებით. ამასთან, დეესკალაციის ოთახის გამოყენება თავისი არსით არის სტატიკური უსაფრთხოების ღონისძიება და მან არ უნდა ჩაანაცვლოს პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და მათი ჩართულობა კრიზისულ სიტუაციაში“.

[81] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანები, ამონარიდი CPT-ის 24-ე ზოგადი ანგარიშიდან (2015), *CPT/Inf(2015)1-part rev1,* 128-ე პუნქტი, გვ. 7

[82] იქვე, 129-ე პუნქტი, გვ. 8

**რეკომენდაციები N8 დაწესებულების ადმინისტრაციას:**

- შეწყდეს დაწესებულებაში არასრულწლოვანი პატიმრების ე.წ. უსაფრთხო საკნებში მოთავსების პრაქტიკა, ამ საკნებში არსებული არასათანადო საცხოვრებელი პირობებიდან გამომდინარე;
- შეწყდეს დაწესებულებაში არასრულწლოვანთა არაფორმალური დასჯის პრაქტიკა; დისციპლინური სახდელების დაკისრება განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების წესების დაცვით.

**რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტს:**

- საკანონმდებლო დონეზე აიკრძალოს არასრულწლოვანი პატიმრების უსაფრთხო საკანში და დეესკალაციის ოთახში მოთავსება, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

## განათლება და რეაბილიტაცია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს, მიიღოს სრული ზოგადი განათლება. არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა[83]. ყველა არასრულწლოვან პატიმარს, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო განათლების გავლას, ხელი უნდა მიუწვდებოდეს ასეთ განათლებაზე[84]. პენიტენციურ სისტემაში არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების მიღების საკითხები რეგულირდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და განათლების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით[85].

N8 დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სკოლა, რომელიც ერთ კონკრეტულ საჯარო სკოლასთან იქნებოდა აფილირებული. დაწესებულებაში არასრულწლოვნისთვის იხსნება სპეციალური ჟურნალი იმ სკოლაზე, სადაც იგი დაკავებამდე იყო ჩარიცხული და მასწავლებლები, რომლებიც დაწესებულებაში არასრულწლოვნებთან ატარებენ გაკვეთილებს, სკოლების მიხედვით აგზავნიან სპეციალურ ჟურნალში არსებულ ჩანაწერებს[86].



[83] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 84.

[84] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2-rev წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით 35-2.

[85] „არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული ზოგადი განათლების მიღებისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის №110/ნ/№124 ერთობლივი ბრძანება

[86] იქვე, მუხლი 2[1]: „იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული არ არის განთავსებული არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში და სასჯელს იხდის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია, უზრუნველყონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შტატგარეშე მოსამსახურეებმა (მასწავლებლები), იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელით, რომელშიც სწავლობდა

არსებული სტატისტიკური მონაცემებით[87], 2020 წლის აგვისტოს თვეში N8 დაწესებულებაში 15 არასრულწლოვანი ირიცხებოდა საჯარო სკოლაში, ერთს წარმატებულად ჰქონდა დასრულებული ეროვნული გამოცდები. აგვისტოს დასაწყისში, სასკოლო არდადეგების პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის დროს ჯგუფის წევრებს ეცნობათ, რომ N8 დაწესებულებაში COVID 19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით 2020 წლის მარტის თვიდან (პენიტენციურ სისტემაში განსაკუთრებული პირობების ამოქმედების პერიოდიდან) არასრულწლოვნებისთვის შეჩერებული იყო ყველა სახის საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამები[88]. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული საგანმანათლებლო პროცესების და შედეგების შესახებ. ასევე, ბავშვებმა არ იცოდნენ, საპატიმრო დაწესებულებაში სკოლის დამთავრების შემთხვევაში, რომელი სკოლის ატესტატს მიიღებენ და იქნება თუ არა მათი პატიმრობის ფაქტი დაფიქსირებული.

COVID 19-თან ბრძოლის პირობებშიც აუცილებელია, N8 დაწესებულებაში დაუყოვნებლივ დაიწყოს საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროცესები და, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ეს პროცესი განხორციელდეს დისტანციურად ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ასევე, არასრულწლოვნებს დაწვრილებით უნდა მიეწოდოთ განათლების მიღებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაცია. საჭიროა, ასევე, სოციალური მუშაკების მუშაობის აღდგენა და მათი ჩართულობა, რათა არასრულწლოვნებს აუმაღლონ სწავლის მოტივაცია და ჩართონ ისინი სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამაში ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.



**რეკომენდაციები იუსტიციის სამინისტროს და N8 დაწესებულების ადმინისტრაციას:**

- დაწესებულებაში აღდგეს სასწავლო და სარეაბილიტაციო პროგრამები არასრულწლოვნებისთვის - მინიმუმ დისტანციურ რეჟიმში, შესაბამისი ელექტრონული საშუალებების უზრუნველყოფის გზით;
- არასრულწლოვან პატიმრებს მიეწოდოთ ყველა საჭირო ინფორმაცია განათლების მიღებასთან დაკავშირებით.

---

არასრულწლოვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებამდე/არასრულწლოვანი მსჯავრდებული მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებამდე, ან იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელით, რომელშიც ჩაირიცხა არასრულწლოვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემდგომ/არასრულწლოვანი მსჯავრდებული, მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემდგომ".

[87] საქსტატი, სამართალდარღვევების სტატისტიკა, რესოციალიზაციის მიმდინარეობა ღონისძიებებში მონაწილე პირთა საერთო რაოდენობის მიხედვით, 2020 წლის ივლისი. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/33293/danarti-ivlisi-2020.pdf

[88] თუმცა, საქსტატის მონაცემებით, 2020 წ. აპრილში 21 არასრულწლოვანი პატიმარი ირიცხებოდა საჯარო სკოლაში, მაისში - 14, ივნისში - 19, ივლისში - 13 (დამატებით 5 არასრულწლოვანს წარმატებით ჰქონდა სკოლა დასრულებული, 2-ს - წარუმატებლად და 1 მონაწილეობდა ეროვნულ გამოცდებში) (საქსტატი, სამართალდარღვევების სტატისტიკა, 2020 წელი თვეების მიხედვით, რესოციალიზაციის მიმდინარეობა ღონისძიებებში მონაწილე პირთა საერთო რაოდენობის მიხედვით დაწესებულებებში, ცხრილი N38).

### ➢ *საყოფაცხოვრებო პირობები*

არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებაში უნდა იყოს შექმნილი არასრულწლოვნებზე მაქსიმალურად მორგებული გარემო. პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პირადი სივრცით, პირადი მოვლის და ჰიგიენური საშუალებებით, მაქსიმალურად უნდა ჰქონდეთ საკნის გარეთ სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა. საცხოვრებელ საკნებში უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკმარისი ხელოვნური განათება, ვენტილაცია და გათბობა, ასევე - ბუნებრივი განათება და ვენტილაცია[89].

პატიმრობის დაწესებულების/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მომსახურება, სადაც მოთავსებულია არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული, უნდა აკმაყოფილებდეს მისი ჯანმრთელობის დაცვის და ღირსების პატივისცემის მოთხოვნებს[90]. არასრულწლოვნები, რომლებიც იმყოფებიან წინასწარი პატიმრობის ადგილებში, უნდა მოათავსონ სრულწლოვანი პატიმრებისაგან განცალკევებით, აგრეთვე - სადაც იმყოფებიან სრულწლოვანი პატიმრები, იმ დაწესებულების სპეციალურ განყოფილებაში. წინასწარი პატიმრობის მთელ პერიოდში არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოვლით, დაცვით და აუცილებელი ინდივიდუალური დახმარებით - სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური, აგრეთვე დახმარებით განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში, რომლებიც მათ შეიძლება დასჭირდეთ ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით[91].

N8 დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში არის 9 საცხოვრებელი საკანი. თითო საკანი არის ოთხადგილიანი. საცხოვრებელი საკნების გარდა, არასრულწლოვანთა განყოფილებაში არის ორი სასეირნო ტერიტორია, ერთი საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, ერთი სავარჯიშო ოთახი, ექიმის კაბინეტი, ორი ინდივიდუალური შეხვედრების ოთახი, საიდანაც ამჟამად ერთ ოთახს დაწესებულების თანამშრომლები იყენებენ. სასეირნო სივრცეებში განთავსებულია სათამაშო/სავარჯიშო ინვენტარი. სავარჯიშო ოთახში, სადაც განთავსებულია სამი მულტიტრენაჟორი, ბავშვებს შესვლა შეუძლიათ მხოლოდ შაბათ-კვირას, დღეში ერთხელ.



მონიტორინგის პერიოდში N8 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში ცხელოდა, ვინაიდან არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია არასაკმარისია. ასევე, საკნებში ბუდობენ ტარაკნები და ბაღლინჯოები, რაც ბავშვებს დიდ დისკომფორტს უქმნით. საცხოვრებელი საკნების დეზინსექცია ტარდება მხოლოდ თვეში ერთხელ.

დაწესებულებაში არსებული დღის განრიგის მიხედვით, არასრულწლოვნები დღის განმავლობაში სარგებლობენ ერთსაათიანი გასეირნების უფლებით, სურვილის შემთხვევაში, ადმინისტრაციის მიერ დრო ემატებათ ასევე ვარჯიშისთვის და

---

[89] გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად.
[90] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 79.
[91] არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის გაერო-ს სტანდარტული მინიმალური წესები ("პეკინის წესები") წესი 13.3-13.4. იხ. ბმული https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839ce18398e183a1-e183ace18394e183a1e18394e18391e18398.pdf

თამაშისთვის[92]. საშხაპით სარგებლობა შეუძლიათ კვირაში სამჯერ. ასევე, შეუძლიათ, ისარგებლონ დალაქის მომსახურებით. არასრულწლოვნებს დაწესებულებაში საკვებს აწვდიან და დალაქის ნაცვლად მომსახურებას უწევენ სამეურნეო სამსახურში დასაქმებული სრულწლოვანი პატიმრები.

მნიშვნელოვანია, რომ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვნებს მათი ფიზიკური განვითარებისთვის ჰქონდეთ ჰაერზე ყოფნის მეტი შესაძლებლობა. არასრულწლოვანთა განყოფილება უნდა იყოს იმგვარად მოწყობილი, რომ ბავშვებს სასეირნო ეზოები ჰქონდეთ მიწის საფარზე და არა შენობის ზედა სართულებზე.

ზოგადად კი აუცილებელია, რომ არასრულწლოვანთა პატიმრობის დაწესებულება არსებობდეს ცალკე დაწესებულების სახით, ტერიტორიულად მე-8 დაწესებულებისგან მოშორებით, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვან პატიმართა სრულწლოვნებისგან სრულ იზოლაციას და მათ საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებს მორგებული გარემოს შექმნას[93]. არასრულწლოვანთა პატიმრობა ან თავისუფლების აღკვეთა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პირობებში, რომლებიც სრულად გაითვალისწინებს მათ კონკრეტულ საჭიროებებს, სტატუსს და სპეციალურ მოთხოვნებს მათი ასაკის, პიროვნების, სქესის და დანაშაულის ტიპის, აგრეთვე ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის შესაბამისად. ეს უზრუნველყოფს მათ დაცვას მავნე ზემოქმედებისა და რისკის შემცველი სიტუაციებისაგან[94]. N8 დაწესებულებაში ამგვარი პირობები არ არის უზრუნველყოფილი.



### რეკომენდაციები დაწესებულების ადმინისტრაციას:

- არასრულწლოვანთა სასეირნო ეზო მოეწყოს მიწის საფარზე (როგორც ეს N2 დაწესებულებაში მოეწყო არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის);
- არასრულწლოვნებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ვარჯიშისთვის;
- სათანადო ყურადღება მიექცეს საკნების დეზინსექციას.

### რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს

- შეიმუშავოს გეგმა არასრულწლოვან ბრალდებულთათვის ცალკე მცირე ზომის დაწესებულების ასაშენებლად, სადაც ბავშვზე ორიენტირებული გარემო შეიქმნება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

[92] N8 დაწესებულების დებულება, 34-ე მუხლის ა.თ. ქვეპუნქტი: არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სპორტულ აქტივობებში კვირაში არანაკლებ - 4 საათისა.

[93] აღნიშნულ რეკომენდაციას ითვალისწინებს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 37.გ. ასევე ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებსა და ღონისძიებებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპული წესების შესახებ, წესი 59.1. არასრულწლოვნები არ უნდა იყვნენ მოზრდილთა დაწესებულებებში, არამედ სპეციალურად მათთვის განკუთვნილ დაწესებულებებში;

[94] გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, წესი 28

### ჯანდაცვა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეგულარული სამედიცინო შემოწმებით, საჭირო მკურნალობით, პრევენციული სამედიცინო მომსახურებითა და სპეციალური სამედიცინო ინვენტარით[95].

N8 დაწესებულების არასრულწლოვნების განყოფილებაში განთავსებულია ექიმის კაბინეტი, სადაც ასევე ინახება საჭირო მედიკამენტები. ადგილზე ექიმი იმყოფება დღის განმავლობაში. ღამის საათებში, საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვნებთან გადმოდის N8 დაწესებულების მორიგე ექიმი. არასრულწლოვნებს, ასევე, შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ სტომატოლოგის მომსახურებით.

### თამბაქოს მოხმარება

ჩატარებული მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა თითქმის სრული უმრავლესობა არის თამბაქოს მომხმარებელი. არასრულწლოვნების გადმოცემით, მათ ადმინისტრაცია ურიგებს დღეში რამდენიმე ღერ სიგარეტს, რომელიც არის მათთვის განკუთვნილი. არასრულწლოვნებს, ასევე, შეუძლიათ თამბაქოს შეძენა დაწესებულების მაღაზიაში. აგრეთვე, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნებთან თამბაქოს მავნებლობაზე და მისთვის თავის დანებების თაობაზე არ მიმდინარეობს მუშაობა.

მნიშვნელოვანია, არასრულწლოვნების საპატიმრო დაწესებულებაში შეიქმნას თამბაქოსთვის თავის დანებების პროგრამები, უწყვეტად, სხვადასხვა საშუალებით მიმდინარეობდეს არასრულწლოვნებისთვის თამბაქოს მავნებლობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება.



### რეკომენდაცია დაწესებულების ადმინისტრაციას

- მოხდეს არასრულწლოვნების ცნობიერების ამაღლება თამბაქოს მავნებლობის შესახებ, შესაბამისი საგანმანათლებლო და მხარდამჭერი პროგრამების საშუალებით.

### ➢ *კვება*

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი[96] ითვალისწინებს სხვა პატიმრებთან შედარებით გაუმჯობესებულ კვების პირობებს არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით: „ყველა საპატიმრო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულმა არასრულწლოვანმა მიიღოს საკვები, რომელიც სათანადოდ არის მომზადებული და მიწოდებული საკვების მიღების ჩვეულ დროს, იმ ხარისხის და ოდენობით, რომ

[95] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 82.
[96] 83-ე მუხლის I ნაწილი

დააკმაყოფილოს დიეტის, ჰიგიენისა და ჯანმრთელობის სტანდარტები და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რელიგიური და კულტურული მოთხოვნები[97].

2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს[98], რათა 388-ე ბრძანებაში განხორციელებულიყო შესაბამისი ცვლილებები, არასრულწლოვანი პატიმრების ოთხჯერადი ჯანსაღი კვების უზრუნველსაყოფად. რეკომენდაციის მიხედვით, არასრულწლოვნები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ოთხჯერადი ჯანსაღი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი. აღნიშნული ეყრდნობა საქართველოს მთავრობის დადგენილებით[99] დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტს - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ და ეხება ისეთ დაწესებულებას, რომელიც ბავშვებისათვის 24-საათიანი მომსახურების მიმწოდებელია.

აღსანიშნავია, რომ 388-ე ბრძანებით არასრულწლოვანთათვის ცალკე განსაზღვრული მენიუ-განრიგი ეხება მხოლოდ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებას. N8 დაწესებულებაში განთავსებულ არასრულწლოვნებთან (განსაკუთრებით - ბრალდებულებთან) მიმართებაში არაფერია ნახსენები.

მონიტორინგის პერიოდში, N8 დაწესებულებაში არსებული დღის განრიგის[100] და დაწესებულების დებულების[101] მიხედვით არასრულწლოვნებისთვის უზრუნველყოფილი იყო სამჯერადი კვება. ბავშვების ინფორმაციით, დარიგებული საკვები, ხშირ შემთხვევაში, არის უგემური და მათთვის მიუღებელი. საკვებ მენიუში ხილი არის დაახლოებით კვირაში ერთხელ: თითო ბავშვზე ერთი ცალი ვაშლი ან ვაშლატამა. ბავშვები, ძირითადად, იკვებებიან ამანათით მიღებული და დაწესებულების მაღაზიაში შეძენილი საკვებით.



### რეკომენდაცია იუსტიციისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრებს

- 388-ე ბრძანებაში განხორციელდეს ცვლილება სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად და არასრულწლოვანთათვის განსაზღვრულ მენიუ-განრიგში განისაზღვროს ოთხჯერადი კვება; აღნიშნული შეეხოს როგორც N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, ასევე N8 დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში განთავსებულ არასრულწლოვნებს.

[97] გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, 37-ე პუნქტი
[98] სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 80-81. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე http://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf
[99] საქართველოს მთავრობის N66 დადგენილება (დამტკიცებულია 2014 წლის 14 იანვარს)
[100] N8 დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილების დღის განრიგის მიხედვით, საუზმე 10:30 – 11:00, სადილი - 14:00 - 14:30, ვახშამი - 17:30-18:00 საათზე მიეწოდებათ არასრულწლოვან პატიმრებს.
[101] N8 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხლი 37, მე-4 პუნქტი

**რეკომენდაცია დაწესებულების ადმინისტრაციას**

- N8 დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყოს 388-ე ბრძანებით განსაზღვრული მენიუ-განრიგის შესაბამისი საკვების მომზადება და მიწოდება არასრულწლოვანი პატიმრებისთვის.

## *კონტაქტი გარესამყაროსთან*

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, თვეში ჰქონდეს არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნისა. მას, აგრეთვე, აქვს უფლება, დაწესებულების კონტროლით, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა; უფლება აქვს, შეუზღუდავად მიიღოს წერილები და ამანათები. აღნიშნული უფლებები შეიძლება, შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის საწყის პერიოდში, როდესაც არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მძიმეა და უწევს დახურულ სივრცესთან შეგუება, ძალიან მნიშვნელოვანია მისთვის ოჯახის წევრებთან კონტაქტი.

ჩატარებული მონიტორინგის პერიოდში 20 არასრულწლოვნიდან 5 არასრულწლოვან ბრალდებულს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შეზღუდული ჰქონდა სატელეფონო საუბრით სარგებლობის უფლება. მონიტორინგის ჯგუფთან გასაუბრებისას არასრულწლოვნები საუბრობდნენ ოჯახის წევრებთან კონტაქტის სურვილზე და საჭიროებაზე. ტელეფონის აპარატები განთავსებულია დერეფანში, სამორიგეოსთან ახლოს. ამის მიუხედავად, საუბრის კონფიდენციალობა, შეიძლება ითქვას, დაცულია.

N8 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემნები ტარდება მინით გატიხრულ კაბინებში[102], სადაც არასრულწლოვნებს ოჯახის წევრებთან კონტაქტი უწევთ ტელეფონის გამოყენებით და არ აქვთ ფიზიკური შეხების საშუალება.

ეპიდემიოლოგიური შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, მნიშვნელოვანია, მოხდეს არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის ოჯახის წევრებთან კონტაქტის გაძლიერების ხელშეწყობა. ასევე, ხანმოკლე პაემნების დროს არასრულწლოვნებს მიეცეთ ოჯახის წევრებთან უშუალო კონტაქტის საშუალება მინის ბარიერის გარეშე. პანდემიის პირობებში კი ხელი უნდა შეეწყოს არასრულწლოვნის კონტაქტს ოჯახთან - ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით.

[102] N8 დაწესებულების დებულების 43 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად: დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინის გამყოფი ბარიერის მიღმა. უშუალო შეხვედრის ფორმით ხანმოკლე პაემანი დაიშვება მხოლოდ დაწესებულების დირექტორის წერილობითი თანხმობით, ამისათვის გამოყოფილ სპეციალურ ოთახებში, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.

**რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს**

- განხორციელდეს ცვლილება N8 დაწესებულების დებულებაში და არასრულწლოვან პატიმრებს დაერთოთ ნება, ხანმოკლე პაემნების დროს უშუალო ფიზიკური კონტაქტი იქონიონ ოჯახის წევრებთან.

**რეკომენდაციები დაწესებულების ადმინისტრაციას**

- ხელი შეეწყოს არასრულწლოვანი ბრალდებულების ოჯახის წევრებთან კონტაქტს; ეპიდემიოლოგიური შეზღუდვების მოქმედების პირობებში ხელი შეეწყოს არასრულწლოვნების კონტაქტს ოჯახის წევრებთან ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით (მაგალითად, ვიდეო პაემნების, სატელეფონო ზარების, ბარიერით ხანმოკლე შეხვედრების საშუალებით).

- არასრულწლოვან პატიმრებს მიეცეთ ოჯახის წევრებთან უშუალო ფიზიკური კონტაქტის საშუალება ხანმოკლე პაემნების დროს (ეპიდემიოლოგიური შეზღუდვების მოხსნის შემდეგ).

## 8.2 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები



მონიტორინგის მიმდინარეობისას გლდანის N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფებოდა 49 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმარი, რომლებიც განთავსებულნი არიან A კორპუსის მე-2 და მე-3 სართულებზე.

### ➢ *გათავისუფლების მექანიზმების ხარვეზები*

უვადო თავისუფლების აღკვეთა არის განუსაზღვრელი ხანგრძლივობის სასჯელი, რომელიც მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის გამოიყენება და მოითხოვს დამნაშავის პატიმრობას ხანგრძლივი პერიოდით, შესაძლოა მისი სიცოცხლის ბოლომდეც, გათავისუფლების კალენდარული ვადის დათქმის გარეშე[103]. საქართველოში უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა გათავისუფლების ორი შესაძლებლობა არსებობს: შეწყალება პრეზიდენტის მიერ და სასამართლოს მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა.

უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ პენიტენციურ სისტემაში. შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის მსჯავრდებული პირების მიმართ მოპყრობა უნდა იყოს ისეთი, რომ ხელი შეუწყოს მათი ღირსებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას[104].

საქართველოში, კანონმდებლობის მიხედვით, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები სასჯელს იხდიან დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის

[103] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობა ამონარიდი 25-ე საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (2016) 10], 2016 წლის აპრილი
[104] იხ. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 65 და 66.

დაწესებულებაში[105]. განუსაზღვრელი ვადით დახურულ გარემოში განთავსება საზიანოა და უარყოფით გავლენას ახდენს ყველა მსჯავრდებულზე[106], პატიმრობა გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე, გამორიცხავს სასჯელის ერთ-ერთ არსებით მიზანს - რეაბილიტაციის შესაძლებლობას. ის, ასევე, შეიძლება, განხილულ იქნას, როგორც არასათანადო მოპყრობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობდა უვადო თავისუფლების აღკვეთის ვადამდე შემცირების შესაძლებლობა[107].

სწორედ ამიტომ, საჭიროა ზომების მიღება ხანგრძლივი პატიმრობით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების შემთხვევაში ამის მიღწევის მნიშვნელოვანი მეთოდია თარიღის განსაზღვრა - თუ პირველად როდის განიხილება შესაძლო გათავისუფლება და მსჯავრდებულზე მორგებული ინდივიდუალური პროგრამა, რომელშიც გაწერილი იქნება საჭირო ინტერვენციები, რაც ამ თარიღამდე უნდა გატარდეს[108].

უვადო თავისუფლების აღკვეთით განსაზღვრული სასჯელის მინიმალური ვადა, რომელიც პატიმარმა უნდა მოიხადოს დაწესებულებაში, პირობით ვადამდე გათავისუფლებით პირველად სარგებლობამდე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და მერყეობს 12 დან 40 წლამდე[109]. ევროსასამართლოს მსჯელობით, ასეთი მინიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს თავისუფლების აღკვეთით სასჯელის 25 წელს[110]. საქართველოში ასეთ ვადად განსაზღვრულია 20 წელი.

2019 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა N556 ბრძანებულებით შეწყალების ახალი წესი დაამტკიცა, რომელიც ძველი პროცედურისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ახალი პროცედურის მიხედვით, მსჯავრდებულის შეწყალების საქმეს პრეზიდენტისთვის განსახილველად, შეწყალების კომისიის ნაცვლად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური ამზადებს. სწორედ ეს სამსახურია უფლებამოსილი, პრეზიდენტს წარუდგინოს იმ მსჯავრდებულის საქმე, რომელიც სასჯელს იხდის უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით. ახალი წესის თანახმად, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადა გაიზარდა 15 წლიდან 20 წლამდე. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს არ წარედგინება იმ უვადო თავისუფლებააღკვეთილი



[105] პატიმრობის კოდექსი, 64-ე მუხლი.

[106] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე", 2018, გვ. 128; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/res/docs/2019060317571314166.pdf; ანგარიშში აღნიშნულია, რომ პატიმრობის ხანგრძლივობა წარმოადგენს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს და ხანგრძლივი პატიმრობა, რომელსაც თან ერთვის არასათანადო პირობები, უარყოფითად მოქმედებს პატიმრების ჯანმრთელობაზე.

[107] ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Vinter and others v. the United Kingdom), ხელმისაწვდომია https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22003-4429521-5325447%22]}; http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-16-39-43/115-2014-06-23-08-36-27; ასევე Öcalan v. Turkey; Laszlo Magyar v. Hungary; Murray v. the Netherlands

[108] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობა ამონარიდი 25-ე საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (2016) 10], 2016 წლის აპრილი, [ქართულ ენაზე], 75-ე პუნქტი, გვ. 5.

[109] იქვე, გვ.2.

[110] https://www.echr.coe.int/Documents/FS_Life_sentences_ENG.pdf

მსჯავრდებულის შეწყალების საქმე, რომელსაც მოხდილი არა აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით 20 წელი.

შეწყალების განხილვისას მიზანშეწონილია შემდეგი გარემოებების გათვალისწინება: დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მსჯავრდებულის წარსული ცხოვრება, ოჯახური და ეკონომიკური პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი, სასჯელის მოხდის ვადა, ნასამართლობა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის; წარსულში მის მიმართ შეწყალების აქტის გამოცემა; ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, განსაკუთრებით – მისი მისწრაფება - აანაზღაუროს ზიანი ან შეურიგდეს დაზარალებულს; დაზარალებულის მოსაზრება; მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის გაცნობიერება და მონანიება[111].

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის შესაბამისად, თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან[112] 2-დან 7 წლამდე გამოსაცდელი ვადით[113]. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით[114].



მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის თხუთმეტი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულის მიერ ამ სასჯელის მოხდის გაგრძელება. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს ათი წლის ვადით, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით – იმავე ვადით, ამ კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაანგარიშების შესაბამისად.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმზე, როგორც აუცილებელ და საჭირო ინსტრუმენტზე, იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების კონტექსტში და განმარტა, რომ

[111] საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის №556 ბრძანებულება.
[112] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72[1] და მუხ. 73, ნაწ. 7
[113] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 64-ე მუხლი, მე-2 ნაწ.
[114]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72[1]

სახელმწიფომ უნდა მისცეს მსჯავრდებულებს რეაბილიტაციის შესაძლებლობა და შედეგის მიღწევის შემთხვევაში - გათავისუფლების პერსპექტივა[115].

„პატიმრობა გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე, გამორიცხავს პატიმრობის ერთ-ერთ არსებით გამამართლებელ გარემოებას - რეაბილიტაციის შესაძლებლობას. დასჯა და საზოგადოების დაცვა საპატიმრო სასჯელის მნიშვნელოვანი ელემენტებია, რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში დაბრუნების ყოველგვარი იმედის იმთავითვე აღმოფხვრა კი ადამიანურ სახეს აკარგვინებს პატიმარს“[116].

დღეისათვის სასამართლოს ყველაზე ავტორიტეტული გადაწყვეტილება, რომელიც დიდმა პალატამ გამოიტანა საქმეზე ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Vinter and others v. The United Kingdom) ადგენს, რომ სახელმწიფოს მიერ პირისთვის თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების ხელახლა მოპოვების შანსის დატოვების გარეშე, შეუთავსებელია ადამიანურ ღირსებასთან და, აქედან გამომდინარე, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს. სტრასბურგის სასამართლოს არსებული პრეცედენტული სამართლიდან სამი მთავარი დასკვნა გამომდინარეობს: წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა მომავალში აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სასჯელის მოხდის გარკვეულ პერიოდს, რომლის გასვლის შემდეგაც შესაძლებელი იქნება განაჩენის გადახედვა; გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ პროცედურა, რომლის შესაბამისადაც უნდა გადაიხედოს განაჩენი; და ბოლოს - თავისუფლების აღკვეთა ციხეში ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს აძლევდეს თანდათანობითი რეაბილიტაციის შესაძლებლობას[117].



მონიტორინგის ჯგუფმა გაარკვია, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრებისათვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას სწორედ ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი წარმოადგენდა. მკვეთრად იგრძნობოდა, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებს გათავისუფლების მოლოდინი საერთოდ აღარ ჰქონდათ, რაც საგანგაშო გარემოებად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ეს ფაქტი არსებითად ამცირებს რეაბილიტაციის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მთავარი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას და ალბათობას.

## 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის შესახებ კანონის მოქმედება უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებზე

2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის შესახებ კანონი მიღებულია ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოთხოვნის

---

[115] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საინფორმაციო ფურცელი უვადო პატიმრობის შესახებ, Marcello Viola v. Italy (no. 2); Petukhov v. Ukraine (No. 2); Harakchiev and Tolumov v. Bulgaria; Laszlo Magyar v. Hungary; 2019, წ. დეკემბერი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ ბმულზე: https://www.echr.coe.int/Documents/FS_Life_sentences_ENG.pdf

[116] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობა, ამონარიდი 25-ე საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (2016) 10], 2016 წლის აპრილი, [ქართულ ენაზე] გვ.6

[117] იხ. ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Vinter and Others v. The United Kingdom) [GC], Nos. 66069/09, 130/10 და 3896/10, 2013 წლის 9 ივლისი.
იხ. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობა - ამონარიდი 25-ე საერთო ანგარიშიდან *[CPT/Inf (2016) 10],* 2016 წლის აპრილი

შესაბამისად, პატიმართა და პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების მიზანშეწონილობისა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ კრიმინოგენული სიტუაციის კონტროლისა და პრევენციის სათანადო მექანიზმების არსებობის პირობებში. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით გამოაცხადა ამნისტია.

საქართველოს პარლამენტმა მიაჩნია რა, რომ საქართველოში არსებობდნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირები, გამოაცხადა პოლიტიკური ამნისტია. ამნისტია იყო საყოველთაო და კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი ყველა იმ პირს, რომელზედაც არ გავრცელდა კანონის პირველი–მე-15 მუხლების მოქმედება[118].

ამნისტიის კანონით ¼-ით გაუნახევრდათ სასჯელი სსკ-ის 109-ე მუხლით გასამართლებულ, მაგრამ გარკვეული ვადით თავისუფლებააღკვეთილ პირებს. იმავე 109-ე მუხლით გასამართლებულ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს კი სასამართლოდან მიუვიდათ გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნულია, რომ 2012 წლის ამნისტიის კანონით გათვალისწინებული სასჯელის ¼-ით შემცირება მათაც შეეხო. მაგრამ ვინაიდან ისინი არიან უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები, მათი გათავისუფლების თარიღი არ განისაზღვრება და ათვლის თარიღი, საიდანაც უნდა განხორციელდეს სასჯელის ვადის ¼-ით შემცირება, გაურკვეველია. ასე, რომ ისინი ისევ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებად რჩებიან.



მსჯავრდებულები, რომლებიც 2012 წლამდეც იმყოფებოდნენ პატიმრობაში, აცხადებენ, რომ 2012 წლის ამნისტიის შესახებ კანონი მათზეც უნდა გავრცელებულიყო, მაგრამ არ გავრცელდა, რის გამოც აქვთ უსამართლობისა და უთანასწორობის განცდა და თვლიან, რომ არიან დისკრიმინაციის მსხვერპლი.

ამასთანავე, საყურადღებოა ის გარემოება, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები, რომლებიც 2012 წლამდეც იხდიდნენ სასჯელს, აცხადებენ, რომ 2012 წლამდე ისინი იყვნენ ცემის, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი ყოველდღიურ რეჟიმში. მათი სასტიკი ცემა ხშირად უმიზეზოდ ხდებოდა, რის გამოც მუდმივად შიშში ცხოვრობდნენ - ყოველ წუთს ელოდნენ საკანში სპეცრაზმის შეჭრას და ცემას. ამის გამო დღემდე აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები და ჯანმრთელობის სხვა სახის დაზიანებები. მათთან მიმართებით არ შესრულდა 2012 წლის ამნისტიის შესახებ კანონის მიზანი, რომ წამების და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლ პატიმრებს შემსუბუქებოდათ სასჯელი.

გარდა ამისა, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები ყურადღებას ამახვილებენ 2012 წლის შემდეგ შედარებით ლიბერალურ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე, რის გამოც სასამართლოები ძალადობრივ დანაშაულებზეც კი, უვადო პატიმრობას აღარ უსჯიან. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ პატიმრების უმეტესობისთვის უცნობია ის კრიტერიუმები, რაც ფაქტობრივად განსაზღვრავს გათავისუფლების შესაძლებლობას, ეს კი უსამართლობის განცდას იწვევს.

[118] 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი ამნისტიის შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1819020?publication=0 .

**რეკომენდაციები იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს და დაწესებულების ადმინისტრაციას**

- უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებაში დაინერგოს იუსტიციის მინისტრის N502-ე ბრძანებით დადგენილი შემთხვევის მართვის მეთოდოლოგია; ინდივიდუალური რისკებისა და საჭიროებების შეფასება ჩატარდეს და სასჯელის ინდივიდუალური მოხდის გეგმა შემუშავდეს, პირველ რიგში, იმ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებაში, რომლებმაც უკვე მოიხადეს თავისუფლების აღკვეთის 15 წელი, ან მალე მიუახლოვდებიან ამ ვადას;
- შეფასების ანგარიშებში და ინდივიდუალურ გეგმებში აისახოს იმ ფაქტორების შესატყვისი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

## ➢ *უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა გადაყვანა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში*

მონიტორინგის მიმდინარეობის პერიოდს დაემთხვა გლდანის N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან რამდენიმე უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის გადაყვანის პროცესი რუსთავის მე-17 დაწესებულებაში, რის შესახებაც მონიტორინგის ჯგუფს აცნობეს პატიმრებმა და ასევე N8 დაწესებულების დირექტორმა. გადაყვანილთა შორის იყო ასევე უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი, რომელსაც წარსულში ადამიანის უფლებათა ცენტრი უწევდა იურიდიულ დახმარებას. აღნიშნული ფაქტი არის სიახლე რისკების შეფასების თვალსაზრისით. აქამდე უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს ნახევრად ღია დაწესებულებებში სასჯელის მოხდის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ეს სიახლე ძალიან მნიშვნელოვანია უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა სეგრეგაციის დაუშვებლობისა და პროგრესირების პრინციპების[119] რეალიზაციისათვის.



მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი პატიმარი თავს იკავებს ნახევრად ღია დაწესებულებებში გადასვლისგან, კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებთან მოსალოდნელი კონფლიქტების გამო. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ თავად უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრების უსაფრთხოების საკითხიც არის გასათვალისწინებელი ნახევრად ღია დაწესებულებაში მათი გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. აქ იგულისხმება კრიმინალური სუბკულტურის არაფორმალური წესების გამო სხვა პატიმრებისგან

[119] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23 წევრი სახელმწიფოებისადმი, ციხის ადმინისტრაციების მიერ უვადო და ხანგრძლივი ვადით თავისუფლებააღკვეთილ პირთა მართვის შესახებ; ძირითადი პრინციპები; 7. სეგრეგაციის დაუშვებლობის პრინციპი: უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები არ უნდა იყვნენ გამოყოფილნი მხოლოდ მათზე დაკისრებული სასჯელის საფუძველზე; მათ სხვა პატიმრებთან ურთიერთობის საშუალება უნდა ჰქონდეთ რისკის შეფასების საფუძველზე, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება ყველა რელევანტური ფაქტორი; 8. პროგრესირების პრინციპი: უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები წახალისებული უნდა იყვნენ და უნდა შეეძლოთ სასჯელის მოხდის განმავლობაში გადაყვანილ იქნენ უკეთეს პირობებში და რეჟიმში მათი ინდივიდუალური მოპყრობისა და პროგრამებთან, პერსონალთან და სხვა პატიმრებთან წახალისების საფუძველზე.

მომდინარე საშიშროება, რაც შესაძლოა, უკავშირდებოდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს.

**რეკომენდაციები სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს**

- გაგრძელდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა გადაყვანა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, რაც დაეფუძნება შემთხვევის მართვის ახალ მოდელს.

## ➢ *საყოფაცხოვრებო პირობები და კონტაქტი გარესამყაროსთან*

უვადო და სხვა მომეტებული რისკის მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ, უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით, სხვა მსჯავრდებულებთან და/ან ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება, როგორც სუფთა ჰაერზე ყოველდღიური ყოფნისას, ისე რეკრეაციული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მიმდინარეობისას.

მონიტორინგის ჯგუფმა დაათვალიერა სასეირნო სივრცეები, სადაც უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები სარგებლობენ გასეირნების უფლებით. უსახურავო საკნები მთლიანად ცარიელია, გარდა ერთი საკნისა, სადაც დგას ჩოგბურთის მაგიდა და ე. წ. ხელის ფეხბურთის სათამაშო აპარატი. მაგიდის ჩოგბურთის და ხელის ფეხბურთის აპარატზე თამაშისას პატიმრებთან ერთად იმყოფებიან დაწესებულების თანამშრომლები, რომლებიც მათ მეთვალყურეობენ. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების ინფორმაციით, გასეირნება ორსაათიანია.



გასეირნების უფლება, რასაც კანონმდებლობა ამ მსჯავრდებულებს ანიჭებს, პრაქტიკულად მნიშვნელობას მოკლებულია იმ ვითარებაში, როდესაც სასეირნო ეზო არ იძლევა არც განტვირთვისა თუ ვარჯიშის, არც სხვა პირებთან ურთიერთობის საშუალებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სივრცეში ჩოგბურთის მაგიდის არსებობა ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ერთი მაგიდა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მსჯავრდებულებმა თანაბრად შეძლონ სარგებლობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს ძალიან შეზღუდული აქვთ გარე სამყაროსთან ურთიერთობა, ხოლო კანონმდებლობა მათ სხვა მსჯავრდებულებთან ურთიერთობასაც უკრძალავს (გარდა თანამესაკნისა), ცხადი ხდება, რომ ისინი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულად იზოლაციაში იმყოფებიან, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და ზოგიერთ შემთხვევაში არასათანადო მოპყრობადაც კი შეიძლება შეფასდეს.

პატიმრებს საკანში აქვთ კომპიუტერი, ე. წ. ჯოისტიკით, ძირითადად - სათამაშოდ. ასევე, აქვთ MP3 პლეერი. კომპიუტერზე და MP3 პლეერზე შესაძლებელია ჩიპის მიერთება და მასზე ჩაწერილი ფოტოების თუ აუდიო-ვიდეო ფაილების დათვალიერება. ჩიპის გამოყენება ნებადართულია და მას პატიმრებს გარედან ოჯახის წევრები აწვდიან. ჩიპზე უმეტესწილად ჩაწერილი აქვთ საოჯახო ისტორიების ამსახველი ფოტოები და ვიდეოები.

პატიმრებს საკანში აქვთ ტელევიზორები და რადიოები. თუ საკანში ორი ან მეტი პატიმარია (უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა საკნებში ზოგან - ერთი, ზოგან - ორი, ზოგან ხუთი პატიმარია), მათთან ზოგჯერ არის 2 და მეტი ტელევიზორი. პატიმრების განცხადებით, ტელევიზორი ბევრ არხს არ აჩვენებს და,, ნაკლებია გასართობი და შემეცნებითი არხები. ამავე დროს, შესაძლებელია, არხების გადამყვანი მოწყობილობის შეძენა, რაც ფასიანია. ვისაც სურვილი და ფინანსური საშუალება აქვს, ამ მოწყობილობით სხვა არხებსაც უყურებენ.

მონიტორინგის განმავლობაში გამოიკვეთა, რომ რამდენიმე პატიმარი (მათ შორის, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები) ე.წ. თვალიან საკანშია განთავსებული - მუდმივი ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ. პატიმრების გადმოცემით, მათ არა აქვთ სათანადო ინფორმაცია, რატომ იმყოფებიან მუდმივი მეთვალყურეობის საკანში. ელექტრონული საშუალებით განუსაზღვრელი ვადით მეთვალყურეობა არღვევს აუცილებლობისა და თანაბარზომიერების პრინციპებს, იმ შემთხვევაში, თუ ეს ღონისძიება გამოიყენება ყოველგვარი შეფასების გარეშე ისე, რომ რისკის განსაზღვრისას არ ხდება ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის მიზანშეწონილობის შეფასება.

**რეკომენდაცია დაწესებულების ადმინისტრაციას**

- მოხდეს პატიმართა ინფორმირება ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ



## 8.3 უცხო ქვეყნების მოქალაქე პატიმრები

გლდანის N8 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მონიტორინგის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 161 უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმარი, მათგან 25 იყო თურქეთის მოქალაქე, 21 - რუსეთის, 15 - აზერბაიჯანიზე, 13 - უკრაინის, 13 - ირანის, 11 - სომხეთის, 10 - ინდოეთის, 7 - ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი. ასევე იმყოფებოდნენ შემდეგი ქვეყნების მოქალაქეები: აშშ, ბელორუსი, ბრაზილია, ბულგარეთი, ეგვიპტე, თურქმენეთი, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, მაროკო, მოლდავეთი, ნიგერია, ნიდერლანდები, პაკისტანი, პალესტინა, სამხრეთ აფრიკა, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი.

### *გარესამყაროსთან კონტაქტი და სოციალიზაციის შესაძლებლობები*

გლდანის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისათვის ძალიან მწირია გარესამყაროსთან და ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის შესაძლებლობები. კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები უცხოელი პატიმრებისათვის აბრკოლებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით განმტკიცებული იმ მინიმალური უფლებებით სარგებლობას, რაც გარესამყაროსთან და ოჯახის წევრებთან კომუნიკაციას უკავშირდება. „პატიმართა მოპყრობის შესახებ მინიმალური

სტანდარტული წესების“[120] თანახმად, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ უფლება, კომუნიკაცია იქონიონ ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან რეგულარული ინტერვალებით, მათ შორის - კორესპონდენციის, სატელეფონო საუბრებისა და პაემნების მეშვეობით. ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებს უნდა მიეცეთ გონივრული შესაძლებლობა, დაუკავშირდნენ თავიანთი ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს[121]. N8 დაწესებულების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ უფლებებით რეალურ სარგებლობას ხელს უშლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც ქვემოთ დეტალურად არის განხილული.

უცხოელი პატიმრებისათვის პრობლემურია საერთაშორისო სატელეფონო ზარების განხორციელება, ვიდეოპაემანი, ციხის თანამშრომლებთან კომუნიკაცია, ოჯახის წევრებთან წერილის გაგზავნა. პანდემიის პირობებში გარე სამყაროსთან კონტაქტის, კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები კიდევ უფრო შეიზღუდა, სოციალური მუშაკების მუშაობის პრაქტიკულად შეჩერების გამო. გამოკითხული უცხოელი პატიმრებისაგან მოწოდებული ინფორმაციით, პანდემიის პერიოდში მათთან არ მუშაობენ სოციალური მუშაკები, რომლებიც უცხოელ პატიმრებს დახმარებას უწევდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თუ საკონსულოებთან კომუნიკაციაში. შესაბამისად, ისინი მოკლებულნი არიან მსგავსი კომუნიკაციის შესაძლებლობებს. უცხოელ პატიმრებს პენიტენციურ დაწესებულებაში არ აქვთ რეალური წვდომა თარჯიმნების მომსახურებაზე, რადგანაც ისინი დაწესებულებაში მუდმივად არ იმყოფებიან (გარდა სასამართლო პროცესებზე თარჯიმნის მომსახურებისა). თარჯიმნები დაწესებულებაში მუდმივად არ მუშაობდნენ არც პანდემიამდე. დაწესებულებაში არ არსებობს სხვა სპეციალიზებული პერსონალი, რომელიც უცხოელ პატიმრებს მათთვის გასაგებ ენაზე მიაწვდიდა ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ და დახმარებას გაუწევდა მათ წერილების გაგზავნაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საკონსულო წარმომადგენლობებთან თუ ოჯახის წევრებთან. ამჟამად, როგორც გამოკითხულმა უცხოელმა პატიმრებმა აღნიშნეს, სხვადასხვა ტიპის წერილებსა და საჩივრებს ისინი ციხის ოფიცრებს გადასცემენ. თუმცა, მათთვის ცნობილი არ არის, მივა თუ არა წერილი ადრესატამდე ამ გზით.



გასული წლების მსგავსად[122], უცხოელი პატიმრებისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ენობრივი ბარიერი. პრობლემურია ციხის თანამშრომლებთან კომუნიკაცია, რომელთა უმრავლესობა სრულფასოვნად არ ფლობს საერთაშორისო ენებს, მაგალითად - ინგლისურ ენას. პანდემიის პირობებში ეს პრობლემა უფრო გამწვავდა. ამჟამად, დაწესებულებაში, ძირითადად, სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილებების თანამშრომლები

[120] „ნელსონ მანდელას წესები“, წესი 58
[121] იქვე, წესი 62.1
[122] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურ ანგარიშში (N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 45) აღნიშნულია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებაში, განსაკუთრებით მწვავედ დგას ენობრივი ბარიერის პრობლემა, რაც, თავის მხრივ, მათ სხვადასხვა პრობლემას უქმნის უფლებებით თუ სერვისებით სარგებლობის თვალსაზრისით. http://www.ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf

მუშაობენ, რომლებიც ყაზარმულ რეჟიმზე არიან გადასულები. უცხოელი პატიმრებისაგან მოწოდებული ინფორმაციით, მათმა უმრავლესობამ არ იცის ინგლისური ან რუსული ენა (თუმცა, დაწესებულების დირექტორის ცნობით, კონკურსის წესით ახლად აყვანილი თანამშრომლების შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი უცხო ენების ცოდნა იყო). უცხოელმა პატიმრებმა აღნიშნეს, რომ აქვთ სურვილი, ისწავლონ ქართული ენა, რათა კომუნიკაცია დაამყარონ ციხის თანამშრომლებთან და სხვა პატიმრებთან, მაგრამ დაწესებულებაში არ არსებობს ენის შემსწავლელი კურსები. დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ისინი სამეურნეო სამუშაოებზე მყოფ, უცხო ენების მცოდნე მსჯავრდებულებს იშველიებენ უცხოელ პატიმრებთან კომუნიკაციაში.

უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისათვის პრობლემურია საერთაშორისო სატელეფონო ზარების განხორციელება. ამგვარი ზარებისათვის გამოყოფილია კვირაში სამი დღე: სამშაბათი, შაბათი და კვირა. N8 დაწესებულების დებულების მიხედვით[123], აქ განთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებს უფლება აქვთ, განახორციელონ თვეში 3 ზარი, თითო 15 წუთის ხანგრძლივობით, საერთო ჯამში - 45 წუთი. დაწესებულებაში სატელეფონო ზარების განსახორციელებლად როგორც უცხოელი, ასევე ქართველი პატიმრებისათვის ფუნქციონირებს ერთიანი რიგი (საკნის მიხედვით). დაწესებულებაში არ არის საკმარისი სატელეფონო აპარატები (მაგალითად, N8 დაწესებულების მესამე კორპუსის მე-2 სართულზე 100-ზე მეტი პატიმარია, სატელეფონო აპარატი კი - მხოლოდ ერთი). შესაბამისად, საერთაშორისო ზარის განხორციელებისათვის გამოყოფილ დღეს შესაძლოა, უცხოელმა პატიმარმა ვერ ისარგებლოს დარეკვის უფლებით, რადგანაც არ მოუწიოს რიგმა, ან რიგი როცა უწევთ, შეიძლება, არ დაემთხვეს საერთაშორისო ზარებისთვის გამოყოფილ დღეს[124]. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ არ ხდება საზღვარგარეთის ქვეყნებთან დროში სხვაობის გათვალისწინება სატელეფონო ზარების რიგის თუ განრიგის დადგენისას.



გამოკითხული უცხოელი პატიმრები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ ამ პრობლემის გადაჭრის საჭიროებაზე, რადგანაც, გარე სამყაროსთან და ოჯახთან კომუნიკაციის მკაცრი რეჟიმის პირობებში, მათთვის ტელეფონზე დარეკვა და ოჯახის წევრებთან ამ გზით დაკავშირება ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ ისინი მოკლებული არიან ოჯახთან კომუნიკაციის კანონმდებლობით დაშვებულ სხვა შესაძლებლობებს (პაემანი, ვიდეოპაემანი). კანონმდებლობა[125] კი უშვებს ხანმოკლე პაემნის სატელეფონო საუბრით შეცვლის

[123] მუხლი 41. სატელეფონო საუბარი

[124] ამ პრობლემის შესახებ აღნიშნულია სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში, გვ. 45-46. ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს N8 დაწესებულებაში კვირაში მხოლოდ ორი დღე იყო გამოყოფილი საერთაშორისო ზარებისთვის.

[125] ბრალდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება ხანმოკლე პაემანი შეეცვალოს სატელეფონო საუბრით (პატიმრობის კოდექსი, მუხლი 17, ნაწილი 11); მსჯავრდებულს, მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება ხანმოკლე პაემანი შეეცვალოს სატელეფონო საუბრით (პატიმრობის კოდექსი, მუხლი 17, ნაწილი 12).

შესაძლებლობას, დაწესებულების დირექტორისთვის მოტივირებული განცხადებით მიმართვის გზით[126].

რამდენიმე პატიმარმა მიუთითა, რომ აღნიშნული პრობლემის გამო რამდენიმე თვე არ უსაუბრია ოჯახის წევრებთან, მათ შორის, ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაშიც ვერ შეძლო დარეკვა. კომუნიკაცია განსაკუთრებით პრობლემურია იმ უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისათვის, რომლებსაც ოჯახის წევრები და ახლობლები საზღვარგარეთ ჰყავთ და, შესაბამისად, მხოლოდ საზღვარგარეთ სურთ დარეკვა. უცხოელებთან მიმართებაში არსებული ეს მწვავე პრობლემა, რომელიც ყველა მათგანის დიდ წუხილებს უკავშირდებოდა, მონიტორინგის ბოლო დღეს დაწესებულების დირექტორთან შეხვედრისას იქნა განხილული. გამოკითხული პატიმრები მიუთითებდნენ, რომ სატელეფონო ზარებით სარგებლობის პრაქტიკა დისკრიმინაციულია, ვინაიდან დღის განმავლობაში საკნების რიგის დასრულების შემდეგ დარჩენილ დროში მხოლოდ ქართველ პატიმრებს ეძლევათ დარეკვის საშუალება. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, ადმინისტრაციას შეუძლია სატელეფონო ზარებისთვის საკნების რიგითობის იმგვარად დადგენა, რომ იმ საკნებს, სადაც მხოლოდ უცხოელი პატიმრები არიან განთავსებული, რიგმა საერთაშორისო ზარებისთვის დადგენილ დღეებში მოუწიოს.

პრობლემაა ასევე ისიც, რომ, როგორც პატიმრებთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა, ზოგიერთი ქართველი პატიმარი უცხოელი პატიმრების სატელეფონო ბარათებით სარგებლობს და იყენებს გამოუყენებელი ზარების წუთებს. ეს ზოგჯერ ნებაყოფლობით ხდება, მაგრამ მონიტორინგის ჯგუფისთვის გახდა ცნობილი უცხოელი პატიმრებისთვის სატელეფონო ბარათების იძულებითი გამორთმევის სავარაუდო შემთხვევების შესახებაც.



უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებს შეზღუდული აქვთ ასევე ვიდეოპაემნით სარგებლობის რეალური შესაძლებლობა, რადგან არსებული სამართლებრივი ბაზა[127] ვიდეოპაემნის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. პატიმრობის კოდექსით[128], ვიდეოპაემნის განხორციელებისათვის, მათი ოჯახის წევრი ფიზიკურად უნდა იმყოფებოდეს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რომელიმე ტერიტორიულ ერთეულში, საქართველოში. ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელი არ არის დისტანციურად საქართველოსა და სხვა ქვეყანას შორის. უცხოელი მოქალაქის ოჯახის წევრის საქართველოში ყოფნის შესაძლებლობა კი იშვიათია. შესაბამისად, ამ უფლებით უცხოელი პატიმრები ვერ სარგებლობენ. სახალხო დამცველი/პრევენციის ეროვნული მექანიზმი 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში[129] მიუთითებდა პოზიტიურ საერთაშორისო პრაქტიკაზე, როდესაც ვიდეოპაემანს უცხოელ პატიმრებთან მიმართებაში იყენებენ პატიმრებისა და მათი ახლობლების გადაადგილების გარეშე ურთიერთობების გასაადვილებლად.

---

[126] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N117 (2015 წლის 27 აგვისტო), N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ (მუხლები 45 და 46).
[127] პატიმრობის კოდექსი, მინისტრის ბრძანება
[128] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 17[1], ნაწილი 3.
[129] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურ ანგარიშში (N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 46

უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრების რესოციალიზაციის მხარდასაჭერად არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოში უცხოელი პატიმრებისათვის შეიქმნას ვიდეოპაემნის დისტანციურად, ეკრანის ვიზუალური კონტროლით განხორციელების შესაძლებლობა საკუთარი ოჯახის წევრებთან.

უცხოელი პატიმრებისათვის პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის მიღება სატელევიზიო არხებისა თუ ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით. დაწესებულების ბიბლიოთეკაში მწირია უცხოენოვანი, მაგალითად - ინგლისურენოვანი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები. ხელმისაწვდომი არ არის ინგლისურენოვანი სატელევიზიო არხები. უცხოელი პატიმრების ინფორმაციით, დაწესებულებაში ადრე ფუნქციონირებდა ერთი ინგლისური სატელევიზიო არხი (ევრონიუსი და შემდგომ BBC News). თუმცა, ბოლო თვეების განმავლობაში ინგლისურ ენაზე სატელევიზიო არხების მიწოდება შეწყდა, რადგან აღნიშნული არხი რუსულენოვან მაუწყებლობაზე გადაერთო. ადმინისტრაციის განცხადებით, მსგავსი პრობლემის აღმოფხვრა მათზე არაა დამოკიდებული და უკავშირდება სატელიტზე მომხდარ ცვლილებებს.

უცხოელი პატიმრები აცხადებენ, რომ მათთვის არსებითად მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში ფუნქციონირებდეს ერთი სატელევიზიო არხი მაინც ინგლისურ ენაზე, რათა მკაცრი რეჟიმის პენიტენციური დაწესებულებისათვის დამახასიათებელი, კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღების გზების მნიშვნელოვნად შეზღუდვის პირობებში, ჰქონდეთ მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. უცხოელი პატიმრებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე ერთი სატელევიზიო არხის არსებობა ასევე არსებითად მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო-რესოციალიზაციის, სპორტული თუ გასართობი აქტივობების არარსებობის პირობებში, გასართობ აქტივობაზე ჰქონდეთ წვდომა. ადმინისტრაციის განმარტებით, ისინი მხოლოდ უფასო არხებს იღებენ სატელიტიდან და არხების სხვადასხვა ენაზე გადართვა ან არხების შერჩევა მათზე არ არის დამოკიდებული. რამდენიმე პატიმარმა აღნიშნა, რომ ისინი მზად არიან, თავად გადაიხადონ ყოველთვიური საფასური. დაწესებულების კონტიგენტის მრავალეროვნულობის გათვალისწინებით, არასაკმარისია მხოლოდ რამდენიმე ენაზე არსებული და თემატურად შეზღუდული არხები (აზერბაიჯანულ, თურქულ და რუსულ ენაზე მხოლოდ 2-3 არხი).



უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის პრობლემას წარმოადგენს ასევე წერილების გაგზავნა ფოსტით ოჯახის წევრებთან, რადგანაც, მათი ინფორმაციით, „საქართველოს ფოსტა“ ვერ ადგენს გარკვეული საფოსტო მარკების ღირებულებას - არ არის განსაზღვრული საფოსტო მომსახურების ფასები გზავნილებისათვის გარკვეულ შორეულ უცხო ქვეყნებში, მაგალითად - სამხრეთ აფრიკაში.

ზემოაღნიშნული პრობლემების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები თავს გრძნობენ იზოლირებულად და გარიყულად და განიცდიან სოციალიზაციის ნაკლებობას. ეს ფაქტორები ამძიმებს მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისათვის შეზღუდულია სტრესთან და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებთან გამკლავების გზებიც. დაწესებულებაში მომუშავე

ფსიქოლოგები სრულფასოვნად არ ფლობენ ინგლისურ თუ სხვა უცხო ენებს. უცხოელ პატიმრებს ასევე არ აქვთ გასეირნების და ვარჯიშის რეალური შესაძლებლობები[130].

### წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება „მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე“ მინისტრის ბრძანებაში და იმ უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულებს, რომლებიც, ოჯახის საზღვარგარეთ ცხოვრების გამო, ვერ სარგებლობენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, მიეცეთ საშუალება, ისარგებლონ ვიდეოპაემნით.

### რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- კონკურსის წესით სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლების, ოფიცრების, ასევე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების შერჩევისას, თანაბარი პროფესიული კომპეტენციის მქონე კანდიდატებს შორის, უპირატესობა მიენიჭოს უცხო ენის მცოდნე კანდიდატს;
- პენიტენციური დაწესებულების პერსონალის შტატში დაემატოს თარჯიმნის პოზიცია, რომელიც სრულ განაკვეთზე მუდმივად იმუშავებს დაწესებულებაში და დახმარებას გაუწევს უცხოელი პატიმრისა და პენიტენციური დაწესებულების სხვადასხვა თანამშრომლების კომუნიკაციას, საჭიროების შემთხვევაში. დაწესებულებაში მუდმივად უნდა იმყოფებოდეს ძირითადი საერთაშორისო ენის, ინგლისურის, სულ მცირე, ერთი თარჯიმანი;
- პენიტენციური დაწესებულებების ბიბლიოთეკები მომარაგდეს უცხოენოვანი ლიტერატურით.

### წინადადება დაწესებულების ადმინისტრაციას

- უზრუნველყოფილი იყოს უცხოელი პატიმრების მიერ საზღვარგარეთ დარეკვისა და სატელეფონო საუბრის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა გლდანის N8 დაწესებულებაში; ამ მიზნით, სატელეფონო ზარებისთვის საკნების რიგითობის/სატელეფონო საუბრების განრიგი იმგვარად დადგინდეს, რომ იმ საკნებს, სადაც მხოლოდ უცხოელი პატიმრები არიან განთავსებული, რიგმა საერთაშორისო ზარებისთვის დადგენილ დღეებში მოუწიოს.
- დაინერგოს ქართული ენის შემსწავლელი კურსები უცხოელი პატიმრებისათვის;
- უზრუნველყოფილი იყოს , სულ მცირე, ერთი სატელევიზიო არხი ინგლისურ ენაზე გლდანის N8 დაწესებულებაში; რაც შეეხება სხვა ენებს, სოციალურმა სამსახურმა შეისწავლოს, რომელ ენებზეა სატელევიზიო არხების მოთხოვნა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა ენებზე სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობა;
- უზრუნველყოფილი იყოს უცხოელი პატიმრების მიერ კორესპონდენციისა და ოჯახის წევრებთან საზღვარგარეთ წერილის გაგზავნის უფლებით სარგებლობა.



[130] ამის შესახებ დეტალურად იხ. ქვეთავში „გასეირნების უფლება და ვარჯიშის შესაძლებლობები”.

### ➢ განსხვავებული პირობები/დისკრიმინაციული მოპყრობის პრაქტიკა

უცხოელი პატიმრებისაგან მოწოდებული ინფორმაციით, ქართველი პატიმრები, მათთან შედარებით, უკეთეს პირობებში იმყოფებიან და ციხის თანამშრომლებს მათ მოთხოვნებზე უფრო სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება აქვთ, მაშინ, როცა უცხოელი პატიმრების მსგავს მოთხოვნებს, ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ, რაც მათი გადმოცემით, ყოველთვის ენობრივ ბარიერს არ უკავშირდება. „თუ ქართველი ამბობს - „მჭირდება ექიმი", მეორე დღესვე მოდის ექიმი. თუ უცხოელი ამბობს იგივეს, ექიმი ერთი ან ორი თვის შემდეგ მოდის" - აღნიშნა ერთ-ერთმა უცხოელმა პატიმარმა. „უცხოელები არ ვადარდებთ" - დამტვრეული ქართულით აღნიშნა ერთ-ერთმა სხვა უცხოელმა პატიმარმა. უცხოელმა პატიმრებმა ასევე გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც ქართველი პატიმრების საკნებში ტარდება დეზინსექცია მწერების წინააღმდეგ, მათ საკნებში კი ეს ღონისძიება არ ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ საკნებში მწერების არსებობა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და კანის დაავადებებს იწვევს.

როგორც ერთმა უცხოელმა პატიმარმა აღნიშნა, , ქართველი პატიმრების მიმართ ვლინდება უპირატესობები. ტელეფონზე დარეკვის უფლებით სარგებლობის კუთხითაც განსხვავებულად ეპყრობიან მათ: ეთნიკურად ქართველ პატიმრებს არ აქვთ შეზღუდვები კუთვნილი სატელეფონო დროის გამოყენების მხრივ, უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრები კი ხშირად ტელეფონზე დარეკვისა და კუთვნილი დროის გამოყენების უფლებით ვერ სარგებლობენ, საერთაშორისო სატელეფონო ზარების ხარვეზიანი სისტემის გამო[131]. ასევე, პატიმრების გადმოცემით, ქართველების საკნის ე.წ. „კარმუშკა" ყოველთვის ღიაა ხოლმე, უცხოელებისა კი, უმეტესწილად, დახურული.



**რეკომენდაცია დაწესებულების ადმინისტრაციას**

- დაწესებულების ადმინისტრაცია დაინტერესდეს უცხოელი პატიმრების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შესაძლო ფაქტებით და მოახდინოს რეაგირება; უზრუნველყოს თანაბარი მოპყრობა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

### ➢ საკნებში განაწილება-განთავსება

ინტერვიუების დროს მონიტორინგის ჯგუფი ინტერესდებოდა რესპონდენტის თანამესაკნეების შესახებ, მათი რიცხოვნობის და ეროვნების, სასაუბრო ენის, შეთავსებადობის საკითხებზე.

წინა წლების მსგავსად[132], N8 პენიტენციურ დაწესებულებაში კვლავ არის შემთხვევები, როდესაც უცხოელი პატიმრების საკნებში განთავსებისას არ ხდება მათი

[131] იხ. თავი „გარესამყაროსთან კონტაქტი და სოციალიზაციის შესაძლებლობები".
[132] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში, N2, N8, N14 და N15 დაწესებულებების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019 წ, გვ. 44, ხელმისაწვდომია:

ენობრივი საჭიროებების გათვალისწინება. კერძოდ, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც უცხოელი პატიმრები მოთავსებულნი არიან საკანში, რომელშიც მყოფი სხვა უცხოელი პატიმრების უმრავლესობის ენა არ ესმით. პატიმრებს შორის სრულფასოვანი კომუნიკაციის შესაძლებლობის არარსებობამ შესაძლოა, გამოიწვიოს დაძაბულობა და კონფლიქტი. პატიმართა საკნებში განთავსებისას ენობრივი საჭიროებების გათვალისწინება არსებითად მნიშვნელოვანია კონფლიქტების პრევენციის, პატიმართა სოციალიზაციის მხარდაჭერისა და მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, სასურველია ერთნაირი რელიგიური მრწამსისა და მონათესავე კულტურის წარმომადგენელ პატიმართა ერთად განთავსების პრაქტიკა.

მონიტორინგის ჯგუფს ეცნობა იმ შემთხვევის შესახებაც, როდესაც აშშ-ის მოქალაქე პატიმარს საკანში შეუსახლეს ირანის 3 მოქალაქე, მასთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე. ასევე, იყო შემთხვევა, როდესაც აშკარად დაპირისპირებული და წარსულში კონფლიქტში მყოფი ადამიანების ერთად განთავსების მცდელობა ჰქონდა დაწესებულების ადმინისტრაციას, რაც პატიმართა აქტიური პროტესტის შემდეგ აღიკვეთა. ერთ-ერთმა პატიმარმა კი გვითხრა, რომ მას 15 დღიანი შიმშილობა დასჭირდა იმისათვის, რომ ციხის ადმინისტრაციას მისივე ეროვნების სხვა პატიმრებთან მოეთავსებინა საკანში.



**რეკომენდაცია დაწესებულების ადმინისტრაციას**

- პატიმართა საკნებში განთავსების დროს გაითვალისწინოს ენობრივი საჭიროებები, ასევე - რელიგიური და კულტურული თავისებურებები.

### ➢ *დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებთან კავშირი*

უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრები, ხშირ შემთხვევაში, მოკლებულნი არიან ინფორმაციას მათი ძირითადი უფლებების შესახებ. ეს ინფორმაციული ვაკუუმი, გარკვეულწილად, შესაძლოა, შეავსონ საკონსულოს წარმომადგენლებმა, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება და კომპეტენცია, მსგავსი ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთი ქვეყნის მოქალაქე პატიმარს. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრები არ ფლობდნენ ინფორმაციას მათ ქვეყანასა და საქართველოს შორის მსჯავრდებულთა გადაცემის შესაძლებლობისა და შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შესახებ. უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრები გამოთქვამენ სურვილს, შეხვდნენ თავიანთი საკონსულოს წარმომადგენლებს და მიიღონ ინფორმაცია მათ უფლებებთან დაკავშირებულ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც საკონსულოს წარმომადგენლების ვიზიტების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრების მიმართ დაწესებულება

---

http://www.ombudsman.ge/geo/vizitis-shemdgomi-angarishebi/n2-n8-n14-da-n15-penitentsiuri-datsesebulebebis-monitoringis-vizitis-shemdgomi-angarishi .

იჩენდა უფრო მეტ ყურადღებას და აკმაყოფილებდა მათ საჭიროებებს. მსგავსი შემთხვევები იყო პანდემიამდე. თუმცა, პანდემიის პერიოდში საკონსულოს წარმომადგენლებს ჯერჯერობით არ ჰქონიათ პატიმრებთან ვიზიტი.

პატიმრებიც და ციხის ადმინისტრაციაც ითხოვენ, რომ საკონსულოს წარმომადგენლებმა ქმედითი დახმარება გაუწიონ პატიმრებს, მაგალითად - მიუტანონ მათ ენაზე ლიტერატურა, რელიგიური ნივთები, ტანსაცმელი და ა.შ..

**რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს**

- იმ დიპლომატიურ წარმომადგენლებთან, რომელთა მოქალაქეები იმყოფებიან საქართველოს პენიტენციურ სისტემაში, უფრო აქტიური და ქმედითი კომუნიკაციის შენარჩუნება, რათა უზრუნველყონ უცხოელ პატიმართა სხვადასხვა საჭიროებები.

### ➢ *ექსტრადიცია და მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად სხვა ქვეყანაში გადაყვანა*

მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის პერიოდში განხორციელდა ნიდერლანდების მოქალაქე მსჯავრდებულის ექსტრადიცია სამშობლოში. უცხოელი პატიმრები ინტერესდებოდნენ ექსტრადიციის/სასჯელის დარჩენილი პერიოდის წარმოშობის ქვეყანაში მოხდის შესაძლებლობის შესახებ. მათ ეცნობათ, რომ გლობალური პანდემიით გამოწვეული მიზეზებით, ჯერჯერობით შეჩერებულია აღნიშნული პროცესები, ზოგიერთ სახელმწიფოსთან კი (მაგალითად - სამხრეთ აფრიკა) ხელმოწერილი არაა შესაბამისი ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის შესახებ.



დაწესებულების დირექტორის ცნობით, თანდათანობით იგეგმება ექსტრადიციის/გადაყვანის პროცესები, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყანასთან საჰაერო თუ სახმელეთო მიმოსვლის აღდგენაზე.

### ➢ *ტანსაცმლით უზრუნველყოფა*

საქართველოს კანონმდებლობით[133], თუ ბრალდებულს ან მსჯავრდებულს არ აქვს პირადი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი ან/და ჰიგიენის დასაცავად აუცილებელი სხვა პირადი ნივთი, პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს მას სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლით, ფეხსაცმლით ან/და ჰიგიენის დასაცავად აუცილებელი სხვა პირადი ნივთით, რომლის ფორმა არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.

უცხოელ პატიმრებს დაწესებულება ერთჯერადად უზრუნველყოფს მეორადი ტანსაცმლით, რაც არ არის საკმარისი. უცხოელი პატიმრები მოკლებულნი არიან ოჯახის წევრებისაგან ტანსაცმლით უზრუნველყოფის შესაძლებლობას, რადგანაც უცხოეთიდან არ არის შესაძლებელი მათთვის ამანათის გამოგზავნა. დაწესებულების მაღაზიაში კი ხელმისაწვდომი არ არის ტანსაცმლის სხვადასხვა ზომები. ინტერვიუს

[133] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 22

დროს დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პატიმრებს შეუსაბამო ზომის ტანსაცმელი ეცვათ. მათი გადმოცემით, ტანსაცმელი სხვა პატიმრებმა მისცეს, ან ადვოკატმა შეუგზავნა ამანათით.

დაწესებულების ადმინისტრაციის ინფორმაციით, უცხოელ მსჯავრდებულებს, ძირითადად, სწორედ იმიტომ ჰყავთ საქართველოში ადვოკატები, რომ მსგავსი საჭიროებების დაკმაყოფილებაში დაეხმარონ.

### რეკომენდაცია დაწესებულების ადმინისტრაციას

- დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლის მარაგის შექმნა ზომების მიხედვით, რომელსაც პატიმრებზე გასცემს საჭიროების შემთხვევაში.